# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 30 სექტემბერი, 2006 წელი.

№ 192 (5533)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.





## იაშკა შპიონი ზემო სართულზე ცხოვრობს

2-3





## საპატრიარქო: მოვითხოვთ საქართველოს ეკლესიის შეურაცხმყოფელი ხელშეკრულების გაუქმებას



2



## „და წაიღე ჩემი წილი სიცოცხლე“

9

## სამ საუკუნეს შეუდგნენ მხრებით

8




## მიხეილ სააკაშვილი: „ჩემთვის საერთოდ გაუგებარია ეს ისტერიკა“

7



## სიმდიდრის კოცონი

7-8

## ვაქვეყნებთ საჯარო სამსახურის ბიუროს კონკურსის პირობებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვაკანტურ თანამდებობებზე

10-13

ინფორმაცია

## ფრანგები დაფრთხნენ?

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ფრანგ ტურისტებს საქართველოს ზოგიერთ რაიონში გამგზავრებისგან თავის შეკავებას ურჩევს.

კერძოდ, საუბარია იმ რაიონებზე, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიას ესაზღვრება. კერძოდ, პანკისის ხეობაზე, „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის რაიონებზე, კოდორის ხეობაზე, სვანეთზე და გორზე. საფრანგეთის საგარეო უწყების ამ განცხადებას რუსული სააგენტო „როსბალტი“ ავრცელებს.

როგორც სააგენტო იუწყება, საფრანგეთის საგარეო უწყება ტურისტებს საღამოს საათებში და ღამით თბილისში სერნობისგან, მეტროთი მგზავრობისა და მიწისქვეშა გადასასვლელებით სარგებლობისგან თავშეკავებას ურჩევს. ასევე, მოუწოდებს, არ ატარონ სამკაული, ძვირადღირებული ნივთები და დოკუმენტების ორიგინალური ვერსიები.

ინტერპრესნიუსი

## ითხოვენ ლუსტრაციის კანონის მიღებას

დემოკრატიული ფრონტი დსთ-დან გამოსვლისა და ლუსტრაციის კანონის მიღების საკითხის დაყენებას ითხოვს.

როგორც ივლიანე ხაინდრავამ განაცხადა, „არავითარი აზრი არ აქვს იმ ორგანიზაციაში ყოფნას, სადაც რუსეთი ჰეგემონის როლს ასრულებს“.

„ამ ფაქტმაც დაგვანახა, რომ ლუსტრაციის კანონის მიღება აუცილებელია. რუს ჯაშუშებთან ერთად დაკავებულნი არიან ქართველებიც, რომლებზეც არავინ საუბრობს. დარწმუნებული ვარ, სხვა ქვეყნის სასარგებლოდ მომუშავე აგენტები საქართველოში ჯერ კიდევ ძალიან ბევრია.

ჯი-ეიჩ-ენი

მსგეფსი

# იაშკა შპიონი ზემო

ეშმაკებდაპატრონებული უპატრონო ეკლესიის ამბავი ყველამ ვიცით.

ისიც ყველამ ვიცით, საქართველო სწორედ ასეთი ეკლესია რომ არის აგერ უკვე 15 წელიწადია.

ანუ, ყველა ისე გადის და გამოდის ამ ეკლესიაში, არც ვინმეს ეკითხება და არც ვინმეს ეზოდიშება.



არის ასეთი წვერიანი, საბჭოთა პერიოდის ანეკდოტი:

ამერიკელებმა დიდი წვალებით (იაპონიის გავლით) ოდესაში ჯაშუში შეაპარეს.

ის რეზიდენტის ბინაზე მიდის და ზარს რეკავს.

კარს დედაბერი აღებს.

სტუმარი პაროლს ეუბნება: — მე თეთრი აქლემი ვარ, აღმოსავლეთიდან ჩამოვედი.

— ნეხვი ხარ, აქლემი კი არა. იაშკა შპიონი ზემო სართულზე ცხოვრობს!

როგორც მთელმა ოდესამ იცოდა, იაშკა რომ შპიონი იყო, ისე მთელმა თბილისმა იცის, ჩვენი ქალაქი შპიონებით რომ არის სავსე. ყველა ქვეყნის — რუსეთის, ამერიკის, ზანზიბარის, ყველა ჯურის — სამხედრო, ეკონომიკური, ეზოთერიული დარგის ჯაშუშებით...

ოღონდ, იქიდან მოყოლებული, რაც ამ უპატრონობის ჟამთაღრიცხვა დაიწყო, არ მახსოვს, საქართველოში ჯაშუში დაეჭიროთ.

ერთადერთი, ამერიკელი ჯაშუშის ვუდროფის შემთხვევითი მკვლელობა გახმაურდა ამ ათიოდე წლის წინათ, ოღონდ ის მეგობარი ჯაშუში იყო, მეგობარი ქვეყნიდან.

თუმცა არა, შევცდი, ერთი „ჯაშუში“ — სიმონ კილაძე — ამას წინათ ჩააყუდეს ჩვენმა ფხიზელმა სამართალდამცავებმა, რომელიც, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, თურმე ქართული ოპოზიციური გაზეთების ამონაჭრებს აგზავნიდა ერთ-ერთი არამეგობარი ქვეყნის დედაქალაქში და ამით ჩვენს სამშობლოს ძირს უთხრიდა იდეურ-პოლიტიკური და სამხედრო-ეკონომიკური თალსაზრისით.

ასეთი იყო ჯაშუშურ-დივერსიული ვითარება საქართველოში აქამდე.

სამი დღეა „ციმორების ჭერაა საქართველოში“.

სამი დღეა ქართველმა კონტრმზვერავებმა რუსი ჯაშუშები — მაიორ-პოდპოლკოვნიკ-პოლკოვნიკის სამხრეებიანი იაშკები და მათი ადგილობრივი დასაყრდენი თეთრი აქლემები მოხვეტეს და საქართველო-რუსეთის ურთიერთობა იმ მოსახვევამდე მიიყვანეს, საიდანაც არც წინ ჩანს გზა და არც უკან.

მაგრამ სანამ გამოსავალზე ვიტყოდეთ, ეს უნდა ვთქვათ:

რუსეთი სსრკ-ის სამართალშემკვიდრეა.

სსრკ ცნობილი იყო, როგორც ტოტალური ჯაშუშობის ქვეყანა მსოფლიოს მასშტაბით.

მრავალგზის გააწითლეს ამის გამო (ხატოვანად ვამბობ, თორემ სსრ კავშირს ჯაშუშობის დარგში სირცხვილით გაწითლების უნარი ატროფირებული ჰქონდა). უფროს თაობას ახსოვს, მაგალითად, ინგლისიდან საბჭოთა ჯაშუშების — დიპლომატების ნიღბით მომუშავე მთელი კორპუსის — რამდენიმე ათეული კაცის კინწისკვრით გამოყრა.

რამდენი ასეთი გამოყრა-გამოძევება იყო!

რუსეთი სსრკ-ის სამართალშემკვიდრე და, ამდენად, წინაპრის ალი-კვალია ნაჯახურ დიპლომატიაშიც, „დამცირებულთა და შეურაცხყოფილთა“ „დაცვა-მფარველობაშიც“, ყველაფერში ცხვირის ჩაყოფაშიც, არამკითხეობაშიც, ყველას მამიდობაშიც და, რაც მთავარია, თავისი ჯაშუშებით მსოფლიოს პირამდე გავსებაშიც.

მე ჩვენი შინაგან საქმეთა სამინისტროს ბევრ ღონისძიებას კრიტიკულად ვუყურებ და ვაფასებ, მაგრამ ამჯერად ოდნავი ეჭვიც არ მაქვს, რომ ეს ოთხი ჯაშუში ოფიცერი და თერთმეტი „სამამულო“ ქვეჯაშუში, სწორედაც რომ, სამართლიანად არიან მხილებული.

ამაში რუსეთის ასეთი ისტერიული გამოხმაურებაც მარწმუნებს. რუსეთის მთელი პოლიტიკური ისტებლიშმენტი, სამოხელეო, დიპლომატიური და საზოგადოებრივი კორპუსი ბედლამად იქცა.

არავინ არ კითხულობს, რატომ და რისთვისო, ერთი გვაჩვენეთ, რა მტკიცებულებები გაქვთო!

არა! ყველა, აბსოლუტურად ყველა (ერთადერთი სასიამოვნო გამონაკლისი ცნობილი ვალერია ნოვოდვორსკაიაა) იმაზეა გაგიჟებული, ეს როგორ გაგვიბედესო, რუსი ოფიცრები როგორ დააპატიმრესო.

ეს არის მთავარი, თორემ იმავე ივანოვმა, იმავე ლავროვმა, მით უფრო — ჟირინოვსკიმ, მიტროფანოვმა თუ ზიუგანოვმა, მშვენივრად იციან, რომ დაბორკილი ცავაც, კაზანცევიც, ბარანოვიც, ზავგაროდნიც და აწ დასაბორკი სინიცინიცა და პრიჩურგინიც, კადრის ჯაშუშები არიან და ჯაშუშურ დავალებას ასრულებდნენ; რომ ამ ჯგუფის გარდა საქართველოში მოქმედებს „გრუ“-ს (რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს), ფსბ-ს (უშიშროების ფედერალური სამსახურის) და ათასი სხვა სპეცსამსახურის ჯგუფები სხვადასხვა ძირგამომთხრელი დავალებით. და ეს ჯგუფები რომ არ იყვნენ, ისინი ცოცხლად შეჭამდნენ ამ სამსახურების ხელმძღვანელებს, როგორთუ საქართველოში (ან სხვაგან — უკრაინაში, მოლდოვაში, აზერბაიჯანში...) დივერსიულ მუშაობას არ აწარმოებთ, მაშ რაში იხარჯება რუსი გადასახადის გადამხდელის მიერ გადახდილი ფულებიო.

ოღონდ, ისიც იციან, რომ ბატონმა ოფიცრებმა შეიძლება გამოძიებისას ისეთი რამ დაამღერონ, რომ სულ მოჭრან რუსეთს თავი, ამიტომ „ძვალკუნთოვანი“ შეტევა წამოიწყეს, რათა მანამდე „უდანაშაულოდ“ გაიყვანონ აქედან.




პროტესტი

## მოვითხოვთ საქართველოს ეკლესიის შეურაცხმყოფელი ხელშეკრულების გაუქმებას

### საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

**როგორც საინფორმაციო საშუალებებით გახდა ცნობილი, 28 სექტემბერს სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა და სახალხო დამცველმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომელიც სასჯელაღსრულებით სისტემაში რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას ითვალისწინებს.**

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს საპატრიარქოსა და იუსტიციის სამინისტროს შორის 2001 წლის 20 აპრილს დაიდო და კვლავაც მოქმედებს ხელშეკრულება, სადაც წერია:

**„საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია თითოეულ სასჯელაღსრულებით დაწესებულებასა და იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო პოლიციაში მიავლენს მოძღვრებს საღმრთო ლიტურღიის შეუფერხებელი აღსრულებისა და ადამიანის რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გასწევს კოორდინირებას და უზრუნველყოფს სხვა კონფესიების მსჯავრდებულთა რელიგიური უფლებების დაკმაყოფილებას და ამ კონფესიის მსახურთა მოწვევას მოთხოვნილებების შესაბამისად ...“**

**„საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ორმხრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ერთობლივად მოამზადებენ ან განიხილავენ იმ ნორმატიული აქტების პროექტებს, აგრეთვე სხვა საკითხებს, რომლებიც იქნება მხარეთა ერთობლივი ინტერესების საგანი“. (§ 2,5)**

დოკუმენტს ხელს აწერენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და იუსტიციის მაშინდელი მინისტრი, ბატონი მიხეილ სააკაშვილი.

ჩვენთვის გაუგებარია, რატომ უგულებელყვეს ეს ხელშეკრულება. ნუთუ შეიძლება, რომ სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ცვლიდეს იუსტიციის მინისტრის განკარგულებას? ნუთუ საქართველოში, სადაც მოსახლეობის [illegible], აქედან გამომდინარე, პატიმართა უმრავლესობა მართლმადიდებელია, მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციის გაუთვალისწინებლად შეიძლება ფორმდებოდეს ასეთი შეთანხმება?

შევნიშნავთ იმასაც, რომ დღემდე სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში არ ყოფილა ამა თუ იმ კონფესიის წარმომადგენლების რელიგიური მოთხოვნილებების შეზღუდვის ან აკრძალვის შემთხვევა. ოღონდ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს ეკლესია ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა და კვლავაც შეეწინააღმდეგება სხვა რელიგიების მხრიდან პროდუქტებისა და ლიტერატურის შეტანით პატიმართა გადაბირების მცდელობას და პროზელიტიზმის გამოვლინებებს, რაც საერთაშორისო ნორმებითაც არის აკრძალული.

**სამწუხაროდ, ომბუდსმენის აპარატი კვლავაც ტენდენციურობას იჩენს სხვა აღმსარებლობების მიმართ და ცდილობს, შეზღუდოს საქართველოს ეკლესიის კანონიერი უფლებები.**

**მიგვაჩნია, რომ 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმება არის 2001 წლის ხელშეკრულების დარღვევა და ამასთან, შეურაცხყოფა საქართველოს ეკლესიისა, ამიტომაც მოვითხოვთ მის გაუქმებას.**

28 სექტემბერი, 2006 წ.



## ვის ინტერესებს ლობირებენ მავანნი?

### ხელისუფლების ნამდვილი სახე ომბუდსმენის და „თავისუფლების ინსტიტუტის“ ქმედებებია

**როგორც მასმედიით გახდა ცნობილი, ომბუდსმენმა რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვის მოტივით სასჯელაღსრულების დეპარტამენტს ხელშეკრულება გაუფორმა.** ეს დოკუმენტი ფაქტობრივად სექტებრისთვის საპროზელიტო პოლიგონის გახსნის ტოლფასია, ვინაიდან ციხეებში სომეხი და აზერბაიჯანელი ეროვნების პატიმრების გარდა, თითქმის არც ერთი რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი არ ზის. მუსულმანურ და სომხურ რელიგიურ უმცირესობებს კი მართლმადიდებლებთან პრობლემები არა აქვთ. იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ისინი პროზელიტურ (გადაბირების) საქმიანობას არ აწარმოებენ. აქედან გამომდინარე, სავსებით ნათელია, რომ სახელმწიფო სტრუქტურა და ომბუდსმენი დღევანდელი „გარიგებით“ (ხელშეკრულებით) ლობირებენ სხვა რელიგიური უმცირესობების ინტერესებს და გზას უხსნიან ციხეებში საკუთარი პროდუქტებითა და სხვადასხვა საჩუქრებით ისედაც სახელმწიფოსგან შეჭირვებული და განაწამები პატიმრების „ნუგეშის ცემასა“ და თავის სარწმუნოებაზე გადაბირებას.

ომბუდსმენს კი ის ურჩევნია, კონსტიტუციით მისთვის დაკისრებული მოვალეობა შეასრულოს და უსამართლოდ მისჯილი და ნაწამები პატიმრების საკითხს მიხედოს. მარტო გიორგი მიქიაშვილის წამებით გაგიჟებამდე მიყვანის ფაქტიც საკმარისი იქნებოდა ნორმალურ ქვეყანაში ბაჩო ახალაიას გასამართლებისა და ომბუდსმენის იმპიჩმენტისთვის.

ყოველივე ამაზე კი პასუხიმგებელია არა მარტო ამის განმხორციელებელი ხელისუფლება, არამედ ყველა ის მოქალაქე, რომელმაც ხმა მისცა და კვლავაც გეგმავს მათთვის ნდობის მანდატის გაგრძელებას. მაგრამ ამაზე დიდი უბედურება ის არის, რომ ოპოზიციური ძალა, რომელსაც მავანნი მომავალში ამზადებენ მთავრობაში მოსაყვანად, დღევანდელ ხელისუფლებაზე გაცილებით უარესი ანტიქართული ორიენტაციისაა. სწორედ ამაზეა ნათქვამი „ვაის“ გავეყარე და „უის“ შევეყარეო.

გამოსავალი კი მხოლოდ ჩვენი ხალხის გამოფხიზლებაში და თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაშია, რომელიც აღარ იქნება პიარ-კამპანიებით მოსატყუებელი.

**გიორგი ანდრიაძე,**
**ნაციონალური ლობი**
**(არასამთავრობო ორგანიზაცია).**

მსგეფსი

# სართულზე ცხოვრობს

და მუშტებს გვიქნევენ, გვემუქრებიან სრული ეკონომიკური ბლოკადით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საბოლოოდ წართმევით, სეპარატისტთა თანამედროვე მძლავრი იარაღით აღჭურვით, ენერგორესურსების გადაკეტვით, დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტით, დაბოლოს — ომითაც კი!

ჯაშუში და მტერი უნდა გამოავლინო და დაიჭირო, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

ბოლოს და ბოლოს, თუ სახელმწიფო ხარ, თავი უნდა დაიცვა კიდეც და მეზობელს, რაგინდ დიდი და ძლიერიც იყოს, ყელზე ფეხი არ უნდა დააბიჯებინო.

ერთი კია: ალბათ სჯობდა, დღეს, ამ ისედაც უაღრესად გართულებულ ვითარებაში, ეს ყველაფერი უხმაუროდ, ასე ვთქვათ, „დიპლომატიურად“ გაკეთებულიყო, რათა საბოლოოდ არ ჩაოხრებულიყო ურთიერთობა რუსეთთან იმ დონემდე, რომ მოსკოვმა თბილისიდან თავისი ელჩი გაიწვია („კონსულტაციისთვის“ძ და ახლა სულაც საელჩოს თანამშრომელთა ევაკუაციას ახდენს, ხოლო რუსეთის საკონსულომ ვიზების გაცემა გაურკვეველი ვადით შეაჩერა.

საერთოდ კი, ნაციონალურ მოძრაობას არამც და არამც არ უნდა მიეყვანა რუსეთთან ურთიერთობა ლამის ომის ზღვარამდე.

რა მოგება მივიღეთ სამაგიეროდ?

ის, რომ ამერიკის მეგობარი ქვეყანა ვართ, ან ის, რომ შეიძლება ნატოში მიგვიღონ?

არ ვიცი, არ ვიცი!...

მე მგონი ისეთივე შეცდომას ვუშვებთ, რაც XVIII საუკუნის ბოლოს დავუშვით, როცა „ხიდები გადავწვით“ და თავგანწირულად ჩავეხუტეთ მხოლოდ „ერთმორწმუნე“ რუსეთს და მთლიანად ვაქციეთ ზურგი სამხრეთელ მეზობლებს; „ფიზიკურად გადავრჩით“, მაგრამ სახელმწიფოებრიობა დავკარგეთ. არადა, ალბათ შეიძლებოდა ოქროს შუალედის გამოძებნა...

თუმცა საქმე წამხდარია (ჯერჯერობით მაინცძ და ახლა აზრი არ აქვს „ასე სჯობდა, ისე სჯობდაო“, საყვედურებს. ახლა გამოსავალზე ფიქრია საჭირო, მართლა ომამდე რომ არ მივიდეთ... იმის დრო კი დადგება, ყველას ყველაფერი დაუანგარიშდეს — ვინ, რა, როდის!..

უნებური ასოციაცია: რაღაც საეჭვოდ კი წაეწყო ერთმანეთს იგორ გიორგაძის პრორუსული პარტიისა და ამ ჯაშუშური ქსელის ჩავარდნა, თითქოს კავშირი ჰქონდათ ერთმანეთთან და ერთის წაქცევამ მეორეც გადაიყოლაო...

არადა, კვირა დღე რა მშვენიერი გვქონდა.

ისევ გიგანტური საწნახელი რიყეზე...

და იშვიათი, სულისშემძვრელი ისტორიული კადრი: ნიუ-იორკიდან (სადაც გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე სულ ბდღვირი ადინა რუსეთსძ დაბრუნებული გამარჯვებული პრეზიდენტი თავდაცვის მინისტრსა და თბილისის მერთან ხელიხელგადახვეული ყურძენს წურავს ჩვეული ენერგიით. ჩხრიალებს მაჭარი...

აქეთ მზე, იქით მთვარე, გარეშემო კი ვარსკვლავები — ყურძნის გენერლები, პოლკოვნიკები სერჟანტები...

მოკლედ, უკეთესს ვერ იტყოდი და ვერ ინატრებდი...

განა საფრანგეთს შეუძლია დაიტრაბახოს, ბატონმა ჟაკ შირაკმა რთველობისას პარიზში ათეული ტონა ყურძენი ჩამოატანინა და თავისი კაბინეტის წევრებთან ერთად დაწურაო?

ან ესპანეთს — მის უდიდებულესობა მეფე ხუან კარლოსს სასაწნახელე რეზინის ჩექმები სასთუმალთან უწყვიაო?

თუმცა ორივე ღვინის ქვეყანაა.

სიცელქე და წარმოსახვის გაქანება არ ჰყოფნით.

ჩვენს პრეზიდენტს კი ერთიცა და მეორეც მოჭარბებულად აქვს.

მას ძალიან უყვარს მარადიულობიდან დავით აღმაშენებლის აჩრდილის გამოხმობა და მისთა საქმეთა დამოწმება, მაგრამ ჟამთაალმწერლებს, რომლებმაც საკმაოდ ბევრი ცნობა დაგვიტოვეს დიდ მეფეზე, არსად უთქვამთ, ხანდახან ხამლებს წაიყრიდა, ზვიად სპასალართან ერთად ყურძენს წურავდა და მაჭრით ილოცებოდაო.

და მე სულაც არ გამიკვირდება, პროტოკოლს ახალი პუნქტი რომ დაემატოს: ერთობლივი წურვა, ანუ პრეზიდენტის მიერ ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსული მაღალი სტუმრების მიღება სახელმწიფო საწნახელში.

და ეს არა მხოლოდ შემოდგომაზე, არამედ — მთელი წლის განმავლობაში! დედაქალაქის მერს, ან სოფლის მეურნეობის მინისტრს, ან სულაც თავდაცვის უწყების ხელმძღვანელს (დაახლოებით მსგავსი რამ — ღვინის გასაღება მის მოვალეობაში ისედაც შედისძ, დაევალება ყურძნის საკმაო რაოდენობით მომარაგება-შენახვა ამ მიზნით.

ეს იქნება ეგზოტიკური, ინტიმური, სახალისო და სტუმარ-მასპინძლის უფრო დამაახლოებელი პროცესი.

ეჰ, ერთი ბატონი პუტინი, ან ივანოვი რომ როგორმე საწნახელში შეგვატყუებინა, დარწმუნებული ვარ, სხვაგვარად წავიდოდა ჩვენი საქმე...

დიახ, კვირა მართლაც მშვენივრად დაიწყო. ზემო აფხაზეთის დროებით დედაქალაქ ჩხალთაში პრეზიდენტმა აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების რეზიდენცია გახსნა და მეტი გასაქანი მისცა ბატონ აქიშბაიას, რომელსაც, ბატონ მიხეილთან ერთად კიევის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ოქსფორდის უნივერსიტეტიც დაუმთავრებია და იმდენი ენა იცის, რამდენიც საჭიროა.

კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, რომ 27 სექტემბერი გლოვის დღესთან ერთად, იმედის დღეც არის, რომ კოდორის ხეობიდან მთელი აფხაზეთის დაბრუნება უნდა დაიწყოს.

ოღონდ აი, მიახლოებით მაინც როდის მოხდება ეს, არ თქმულა, განსხვავებით ცხინვალის რეგიონისგან, სადაც ყველაფერი გარკვეულია: 4 თვეში, საპირველიანვროდ იქა ვართ, როგორც ბატონი ირაკლი ოქრუაშვილი შეგვპირდა, და რაკი პრეზიდენტს მისი ამ შეპირების დეზავუირება არ მოუხდენია, დათქმულ ვადას წყალიც არ გაუვა.

კვირა კარგად დაიწყო, მაგრამ ამ რუსეთის ჯაშუშური ქსელის გადამკიდე, ცუდად დამთავრდა. ამას ისიც დაერთო, რომ მარად მეამბოხე ირაკლი კაკაბაძე კვლავ დააკავეს, ფოლკლორულად გამოთქმული პროტესტის გამო.

ამ მოკლევადიანმა დაკავებამ კინაღამ დაარღვია მოსკოვის დემარშის მიმართ პოზიცია-ოპოზიციას შორის ერთი დღით ჩამოვარდნილი თანხმობა...

საარჩევნო მზადება კი შუბის ტარზეა: გიგი უგულავა გვიცინის ეკრანებიდან, ავტობუსებიდან, ტროლეიბუსებიდან. მისი ხმა გვესმის ტელევიზორის, რადიოს თუ უთოს ჩართვისას. გიგი ფიგაროსავით ყველგან არის — კახეთში, კოდორში, ბათუმში. ყველაფერს ასწრებს — ყურძენს კრეფს, ქუჩას თხრის, ოპოზიციას მუშტს უღერებს. გიგი ბავშვების საუკეთესო მეგობარია — სპორტულ მოედნებს უხსნის, ბურთს ეთამაშება, მათ ბებიებთან ერთად ხვრეპს სუპს უფასო სასადილოში. გიგი თბილისელებისთვის მერობის ნიმუშია.

გიგი — ოჰოჰოჰოო!..

**ალეკო ასლანიშვილი.**









ინფორმაცია

## ნატო თავშეკავებისკენ მოგვიწოდებს

ნატო საქართველოსა და რუსეთს თავშეკავებისა და ორმხრივ ურთიერთობებში დაძაბულობის მინიმიზაციისკენ მოუწოდებს.

შესაბამისი განცხადება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა, ალიანსის ყველა წევრის სახელით, გუშინ ნატო-რუსეთის შეხვედრაზე გაავრცელა.

ნატო-რუსეთის საბჭოს არაფორმალური სხდომა სლოვენიაში ტარდება.

## ეგვიპტემ საქართველოსთან სავიზო რეჟიმი გაამარტივა

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ეგვიპტის ხელისუფლებამ საქართველოსთან არსებული სავიზო რეჟიმის ცალმხრივად გამარტივების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. ეს გადაწყვეტილება ქვეყნის მთავრობამ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მიმართვის საფუძველზე გამოიტანა.

გამარტივებული სავიზო რეჟიმი უკვე ძალაშია. კერძოდ, საქართველოს მოქალაქეები ერთთვიან ტურისტულ ვიზას ეგვიპტის საზღვარზე მიიღებენ. ვიზის საფასური 15 აშშ დოლარია.

## შენ ოღონდ დაიწყე...

თბილისის მერმა გიგი უგულავამ გუშინ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, პროექტის „დაიწყე ბიზნესი თბილისის მერიის დახმარებით“ შერჩეული კანდიდატები გამოავლინა.

მერის განცხადებით, პირველი ეტაპისათვის 500 პირი შეირჩა. ისინი ბიზნესის მართვისათვის ტრეინინგებს გაივლიან. გადამზადების შემდეგ უკვე ინდივიდუალური ბიზნეს-გეგმები შეიქმნება, ბოლო ეტაპისათვის კი მერია კონკრეტულ პროექტებს დასაფინანსებლად გარანტად ჩაუდგება.

„50-მდე ამუშავებული პროექტიც უკვე მნიშვნელოვანი იქნება, ჩვენი პროგრამა არა არის დროისა და თანხების ხარჯვა, ის კონკრეტულ შედეგზეა გათვლილი,“ — აღნიშნა თბილისის მერმა.

მისი თქმით, გარეუბნებში გაჩერებულ ობიექტებზე შეიქმნება ბიზნეს ინკუბაციის ცენტრები, რომლებიც სამომავლოდ განხორციელდება.

თბილისის მერის ინიციატივით ერთი თვის წინათ დაიწყო პროექტი „დაიწყე ბიზნესი თბილისის მერიის დახმარებით“.

## „თელიანი ველი“ მედია-ტურს აწყობს

კომპანია „თელიანი ველი“ 30 სექტემბერს თელავის ქარხანაში მედია-ტურს მოაწყობს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ „თელიანი ველიდან“ აცნობეს, თელიანის ღვინის ფესტივალის ფარგლებში, მედია-ტურში მონაწილეობას 40 წამყვანი ქართველი ტელე-ჟურნალისტი მიიღებს.

ისინი გაეცნობიან, თუ რა პირობებში და როგორ მზადდება ქართული ღვინო, დაათვალიერებენ ქარხანას, დააგემოვნებენ სხვადასხვა სახის ღვინოს და ქართული ღვინის ისტორიას მოისმენენ.

ჟურნალისტები დაესწრებიან საქართველოში პირველი კასრების მწარმოებელი კომპანიის პრეზენტაციას. კახეთში სტუმრობისას ჟურნალისტები ბოდბის წმინდა ნინოს მონასტერსაც მოინახულებენ.

ინტერპრესნიუსი

SIC!

## ჩვენ კი სულ გვიკვირს, რუსი ინტელიგენცია ხმას რატომ არ იღებსო

*გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ მთავარი რედაქტორი ვიტალი ტრეტიაკოვი ცნობილია თავისი იმპერიული და შოვინისტური შეხედულებებით. ამას არც მალავს, პირიქით, როგორც ჭეშმარიტი დერჟავნიკი, ყოველთვის იმას უსვამს ხაზს, ნეტა, ამ საქართველოსა და მოლდოვას რას ვებოდიშებით, დნესტრისპირეთი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აუცილებლად რუსეთს უნდა შეუერთდნენო.*

ამას წინათ (19 სექტემბერსძ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ დაიბეჭდა მისი კიდევ ერთი ოპუსი, სადაც მკითხველს მოძღვრავს, ამ ულიარებელ რესპუბლიკებს დამოუკიდებლად ყოფნის სრული მორალური, იურიდიული და საერთაშორისო უფლება აქვთო. არც იმას მალავს, რომ ამ დამოუკიდებლობიდან რუსეთთან ჩახუტებამდე ერთი ნაბიჯია.

არც ეეჭვება, რომ ისინი აქამდეც ვერ შეინარჩუნებდნენ „დამოუკიდებლობას“, რუსეთის „ფრთხილი, აკურატული, ოღონდ სრულიად აშკარა მხარდაჭერა“ რომ არა.

მართალია რუსეთი ამ სახელმწიფოებს იურიდიულად ჯერჯერობით არ ცნობს, მაგრამ მან ეს, ბოლოს და ბოლოს, უნდა გააკეთოს — გამოკვეთილად და არაორაზროვნადო. ბატონი ტრეტიაკოვის აზრით, ეს დრო უკვე დადგა, რუსეთისთვის შეუძლებელია ორ სკამზე ჯდომა: საქართველოსა და მოლდოვის ტერიტორიული მთლიანობა იურიდიულად აღიაროს, ფაქტობრივად კი — არა. ეს ორაზროვნება აფუჭებს რუსეთის იმიჯს, ჩვენს არამეგობრებს კარგ საბაბს აძლევს მოსკოვი ორმაგი სტანდარტების პოლიტიკაში დაადანაშაულოსო.

უფალი რედაქტორი რეკომენდაციას იძლევა: დნესტრისპირეთის, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება რუსეთს შეუძლია თუნდაც წინასწარი ფორმით: პრეზიდენტის, საგარეო საქმეთა მინისტრის ან პარლამენტის განცხადების საშუალებითო. მან იცის, ამით მოსკოვს გარკვეული პრობლემები რომ შეექმნება, მაგრამ იქვე მკითხველსაც ამშვიდებს და საკუთარ თავსაც — პრინციპულად ახალი არაფერი მოხდებაო. კი, გამწვავდება დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსთან და მოლდოვასთან, მაგრამ დღეს რუსეთს თავისი სიძლიერე უფლებას აძლევს, მკვეთრად გამოხატოს პოზიცია, ჰქონდეს ამ პრობლემის საკუთარი ხედვის უფლება, მაშინაც კი, თუ ის განსხვავდება ვაშინგტონისა და ბრიუსელის თვალსაზრისისგანო.

გამუდმებული უკან ყურება, აქაოდა, დასავლეთი რას იტყვისო, მსოფლიოში უკვე გალიზიანებას იწვევს და ძირს უთხრის რუსეთის ფედერაციის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ავტორიტეტს, — დაასკვნის ბოლოს და ვალმოხდილი ემშვიდობება მკითხველს.

აი, ასეთია ბატონ ტრეტიაკოვის მსოფლმხედველობა. ჩვენ კი სულ გვიკვირს, რუსული ინტელიგენცია ხმას რატომ არ იღებსო. როგორ არა, იღებს, ბატონო!.

**სანდრო ალექსიძე.**

დღის შეკითხვა

## რას ფიქრობენ საქართველოში მცხოვრები რუსები რუს სამხედროთა დაპატიმრების შესახებ?

***რუსეთ-საქართველოს შორის სიტუაცია კიდევ ერთხელ დაიძაბა. თბილისი დატოვა რუსეთის საელჩოს ბევრმა თანამშრომელმა. ლაპარაკია საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ სერიოზულ სანქციებზე, თვით ომზეც კი... რას ფიქრობენ ამ საკითხებზე საქართველოში მცხოვრები რუსები?***

**მარინა სტეპანოვა:** — პოლიტიკოსებს პატივს არა ვცემ, სულ ერთია, რა ეროვნების წარმომადგენლებიც არ უნდა იყვნენ ისინი. არც ერთი არ ფიქრობს უბრალო ხალხზე. 2 დღეა სიზნელეში ვზივარ, იმიტომ, რომ შუქის ფული ვერ გადავიხადე — ახლა ჩემთვის ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დიდი პოლიტიკა.

ძალიან მწყდება გული, რომ ის თბილი ურთიერთობა, რაც რუსებსა და ქართველებს გვქონდა, უარესობისკენ შეიცვალა.




**ანა მარატოვა:** — 20 წელია საქართველოში ვცხოვრობ. ჩემი მეუღლე სამხედრო პირი იყო. გარდაიცვალა და თბილისში დავრჩი შვილთან ერთად. არავინ კმაყოფილი არ არის იმით, რაც ხდება. ვფიქრობ, შეცდომა ხომ არ იყო ამ ოფიცრების დაკავება ასე დემონსტრაციულად? სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში მეტი სიფრთხილე და წინდახედულებაა საჭირო. არც რუსეთის მხრიდანაა გამართლებული ეს ზედმეტი აჟიოტაჟი.

**სვეტლანა:** — ვერ გავამართლებ იმას, რაც ხდება. პირველ რიგში ხალხზე უნდა იფიქროს იმან, ვინც სათავეშია... რა შუაშია უბრალო მოქალაქე, თუ პოლიტიკოსები ერთმანეთს ვერ უგებენ? რა დააშავეს რუსეთში მცხოვრებმა ქართველებმა, ვინც იქ მუშაობს და ოჯახს საარსებო წყაროს აწვდის? არც ჩვენ, აქ მყოფ რუსებს დაგვიშავებია არაფერი: მე აქ გავიზარდე, მიყვარს საქართველო და ჩემს სამშობლოდ მივიჩნევ, არ გავრბივარ არსად, თუმცა ვიცი, რომ სხვა ქვეყანაში შემიძლია უკეთესად ვიცხოვრო.

გვარს კი ვერ გაგიმხელთ, სიმართლე გითხრათ, მეშინია: როცა ასეთ ხალხს ციხეში უშვებენ, არც მე ვარ დაცული და დაზღვეული არაფრისგან...

**ხათუნა ჩიგოგიძე**

◎ ინფორმაცია

## აღარც გველაპარაკებიან

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გიორგი მანჯგალაძის შეხვედრა, რომელიც გუშინ მოსკოვში უნდა გამართულიყო, არ შედგება.

სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით ამ ინფორმაციას სააგენტო „ინტერფაქსი" ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, კარასინსა და მანჯგალაძეს საქართველოში რუს ოფიცერთა დაკავებაზე უნდა ემსჯელათ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა 27 სექტემბერს რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს – „გრუ"-ს სადაზვერვო ჯაშუშური ქსელის გამოავლინა.

## რუსეთის ელჩს არ სჯერა

რუსეთის ელჩმა საქართველოში ვიაჩესლავ კოვალენკომ გუშინ დილით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ოპერატიულ ინფორმაციას, რუსი სამხედროების აგენტობის შესახებ, მონტაჟი უწოდა.

„ფარული გადაღება, რომელიც ტელევიზიით აჩვენეს, დამონტაჟებული იყო, გარდა ამისა, საკმაოდ ბუნდოვანი იყო და არ ჩანდა ფაქტები, რომლებიც სამხედროების ბრალეულობას დაამტკიცებდა", – განაცხადა ელჩმა.

კოვალენკოს თქმით, დაკავებულ რუს ჯარისკაცებს მათი ადვოკატი დაიცავს.

ინტერპრესნიუსი

◎ განსჯა

# მასტერკლასი ქართველი

### 9. საარჩევნო სამართლის ქართული მარგალიტები

**საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მმართველი პარტიის პოლიტიკური ინტერესების დაცვა ქართული კონსტიტუციური სამართლის ტრადიციული მეთოდია. მოქალაქეთა კავშირიდან – ნაციონალ-დემოკრატებში გადმონაცვლებული საარჩევნო ტექნოლოგების „მოღვაწეობა" კვლავაც არჩევნების შედეგებით, სახელმწიფოს ერთპარტიული „თვითმმართველობითი" სისტემის საგარანტიო პირობების დამკვიდრებაზეა ორიენტირებული. მაგრამ, ვინაიდან მათი საკანონმდებლო იდეები ამომრჩეველთაგან მისაღები ხმების მომგებიანი ბალანსიდან არის ნაწარმოები, გამარჯვების განსამტკიცებლად საარჩევნო სამართლის ძირითადი პრინციპების შესაწირი აღარ არის საკმარისი. ამჯერად, კანონმდებლებმა ახალი რესურსი მოიძიეს და კონსტიტუციონალიზმის უნიკალური იდეების დეფორმირებასაც არ თაკილობენ. ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ასე იქმნება, სხვათა საავტორო უფლებების დარღვევით, საარჩევნო სამართლის ქართული „მარგალიტები".**

ბოლოს და ბოლოს, კანონმდებელმა გადაწყვიტა ქართულ საარჩევნო სამართალში მთელი რიგი სიახლეების შემოტანა. ექსპერიმენტები ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგ არჩევნებს უკავშირდება. საარჩევნო კოდექსში გაჩნდა არჩევითი თანამდებობის ვაკანსიის ჩანაცვლების მარტივი და ოპერატიული მექანიზმის – გერმანული კონსტრუქციული ვოტუმის ქართული მოდიფიკაცია. მეორე სიახლე, წარმომადგენლობით ორგანოში ეკონომიკურობისა და მემკვიდრეობითობის მიზნით, დეპუტატთან ერთად მისი შესაძლო მონაცვლის ინსტიტუტის შემოღებას უკავშირდება, რომელიც დედანის სახით არსებული ფრანგული დუბლიორის და ესპანური მოადგილისაგან არის „გადმოქართულებული".

ნამდვილად კარგია, რომ კანონმდებელი საარჩევნო სამართალწარმოების სრულყოფის მიზნით, კონსტიტუციონალიზმის საგანძურში პრაქტიკით ნაცად ფორმებსა და მეთოდებს ეძიებს, მაგრამ ძალიან ცუდია, რომ იმდენად ხელყოფს მათ, რომ ძირითად პრინციპულ დანიშნულებას უკარგავს. ასეთი კორექტივები იმით არის ნაკარნახევი, რომ ერთპარტიულმა საკანონმდებლო უმრავლესობამ მისთვის მომგებიანი ახალი საარჩევნო ჯოკერები ჩადო კოდექსში. ამ ნოვაციების მიმართ აქცენტი იმით არის გამოწვეული, რომ „წამატებული" ექსპერიმენტის შემთხვევაში გამორიცხული არ არის კანონმდებელმა მათი გამოყენება საპარლამენტო არჩევნებშიც დააპიროს, ცხადია, მთელი მისი თანმდევი მიზნობრივი ხარვეზებით.

გერმანიაში, კონსტრუქციული ვოტუმი კანცლერის ნდობის საკითხთან არის დაკავშირებული, რათა მისი გადაყენების შემთხვევაში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში ვაკუუმი არ შეიქმნას. გერმანულ ვარიანტში, უნდობლობის გამოცხადების ინიციატორი 48 საათის განმავლობაში თავად ასახელებს კანცლერის ერთადერთ შემცვლელ კანდიდატს, რომელსაც განხილვის გარეშე უყრიან კენჭს და ყველაფერი ოპერატიულად არის რეგლამენტირებული, იმისდა მიხედვით, გავა ახალი კანდიდატი თუ დარჩება ძველი.

კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ", მოცემულ პროგრესულ იდეას, დროში გაწელილი და წინააღმდეგობებით სავსე პროცედურის სახე აქვს მიღებული (მუხლი 40ძ. უნდობლობის მოტივით გამგებლის (მერისძ თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხი დღის წესრიგში რიგგარეშედ კი შეიტანება, მაგრამ კენჭისყრა ტარდება საკითხის დასმიდან არა უადრეს 1 თვისა (პუნქტი 3ძ, ახალი მერის არჩევა კი უნდა მოხდეს ერთი თვის განმავლობაში (პუნქტი 7ძ. ასე რომ, თუ არა მეტზე, პროცედურა შეიძლება ორ თვეზე გაიწელოს. წინააღმდეგობრივია ინიციატორთა ჯგუფის განმსაზღვრელი ნორმები. გამგებლის (მერისძ თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხის საკრებულოს წინაშე დაყენების უფლება აქვს საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის მესამედს (პუნქტი 3ძ, ხოლო მონაცვლე კანდიდატის დასახელების უფლება, ზოგადად, საკრებულოს (პუნქტი 4ძ, რატომღაც ხმათა საჭირო კვოტის განსაზღვრის გარეშე. ცხადია, რომ ხმების ასეთი დისბალანსი იმაზეა გათვლილი, თუ ვინიცობაა ოპოზიცია შეძლებს გამგებლის (მერისძ განთავისუფლების საკითხის დაყენებას, იგი ვერასგზით ვერ მოახერხებს მონაცვლე კანდიდატურის დასახელებას. ამასთან, თუ ამ შემთხვევაში საკრებულოს წევრთა უბრალო უმრავლესობა იგულისხმება, გაუგებარი ხდება აღნიშნულ თანამდებობებზე რამდენიმე კანდიდატურის დასახელება, რომელთაც კენჭი თურმე ერთად ეყრება და არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტ ხმებს (პუნქტი 5ძ. ნორმათა მთელი ამ ბაკქანალიის ჩანაფიქრს ნათლად წარმოაჩენს ნდობაშერყეული გამგებლის (მერისძ დაცვის მიზნით საგარანტიო დათქმებით დახუნძლული ნორმა: „თუ გამგებლის (მერისძ თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხის დასმიდან 1 თვის განმავლობაში ვერ დასახელდა გამგებლის (მერისძ ახალი კანდიდატურა ან ვერ აირჩა ახალი გამგებელი (მერიძ, დაუშვებელია გამგებლის (მერისძ თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხის განმეორებით დასმა აღნიშნული საკითხის დასმის დღიდან მომდევნო 6 თვის განმავლობაში" (პუნქტი 7ძ.



სხვათა შორის, მთელი ეს აღწერილი პროცედურული ქაოსი არ არის საკრებულოს უმრავლესობის მიერ არჩეული, მაგრამ მესამედის ნდობადაკარგული გამგებლის (მერისძ თანამდებობაზე შენარჩუნების ერთადერთი შანსი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ზემოთ აღნიშნული მეხუთე პუნქტი, უფრო სწორად მისი დაუსრულებელი სახე. ჩვეულებრივ, რამდენიმე კანდიდატურიდან, რომლებსაც კენჭი ერთად ეყრება და გამარჯვებულის გამოსავლინებად სიითი შემადგენლობის უმრავლესობაა განსაზღვრული, გამარჯვებულის გამოსავლინებლად, როგორც წესი, კენჭისყრის მეორე ტური გათვალისწინებული. ასეთი რამ არ შეიძლება კანონმდებელს გამოეპაროს. ჩვენი აზრით, ეს გამიზნული ნაბიჯია. ეს არ არის უბრალოდ ეჭვი. ასეთ რეალობაზე შემოთავაზებულ ნორმათა არასრულყოფილება მიგვანიშნებს, რომელიც ერთ მიზანს ემსახურება: ოპოზიციური ძალებისათვის ხელშეუხებელი იყოს უმრავლესობის რჩეული. მეხუთე პუნქტში დასმული წერტილი გამორიცხავს მეორე ტურის საჭიროებას, ეს კი, რეალურად, იმას ნიშნავს, რომ ახალი კანდიდატურა „ვერ აირჩა" და ყველაფერი ძველებურად დარჩება.

ნამდვილად მისასალმებელია, რომ ამჯერადაც ადგილობრივი თვითმმართველობის მაჟორიტარულ არჩევნებში, გამოკლებული წევრის მონაცვლედ, გამონთავისუფლებული მანდატი იმავე ოლქის მაჟორიტარულ არჩევნებში შემდეგ ადგილზე გასულ კანდიდატზე გადადის. მაგრამ, აქვე საკითხის ბოლომდე გაუაზრებლობის გამო, საარჩევნო კოდექსში ჩნდება დათქმა: „ასეთი კანდიდატის არარსებობის შემთხვევაში მანდატი უქმდება" (მუხლი 126, პუნქტი 2-1, „ბ"ძ.

ისევ ჩნდება ეჭვი, რომ კანონმდებლები ყურმოკრაობის დონეზე იცნობენ კონსტიტუციონალიზმის დადებით გამოცდილებას და ნოვაციებიც ამ დონეზე შე-

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 183-191.**

◎ სიტუაცია

# აი, სეირი ჯერ არნახული

## პოლიტიკური შოუ თბილისის აეროპორტში

**ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს თავი ისე გულუბრყვილოდ უჭირავს, გეგონება, ამ ქვეყნის ჯაშუშები ჯერაც არსად დაეჭიროთ. არადა, თავის დროზე კატარში რა ამბავიც გადახდა რუსეთს, ჯერ მარტო ის რად ღირს!**

როგორც ახლა ირკვევა, კატარის ხელისუფალთ რუსი მზვერავების (რუსები საკუთარ მსტოვრებს ასე ინტელიგენტურად უწოდებენ, თორემ უცხო ქვეყნიდან შემოგზავნილს ჯაშუში ჰქვიაძ დაკავების უფლება არ ჰქონიათ. ეს ამ დღეებში, თბილისში რუსეთის აგენტურის ჩავარდნის შემდეგ გამჟღავნდა, როცა რუსეთის დუმის დეპუტატმა მომხდართან დაკავშირებით წამოიძახა: ეს ხალხი, რა, პოლიტიკურ რუკაში არ იყურება, რუსეთს ამდენს რომ უბედავენო?!

როგორც ჩანს, კატარს, რომელიც საქართველოზე კიდევ უფრო პატარაა, ვიდრე რუს შპიონებს დაიჭერდა, კარგად უნდა ჩაეხედა პოლიტიკურ რუკაში. ეს ძვირფასი ფრაზა გენეტიკური მნიშვნელობისაა რუსეთის ისტორიისთვის. ბოლოსდაბოლოს, რუსეთის ისტორია სხვა არა არის რა, თუ არა პატარა ერების დაპყრობისა და დამორჩილების ისტორია. ამ ქვეყნებმა კი, ვიდრე თავისი მჩაგვრელის წინააღმდეგ ხმას ამოიღებენ, კარგად უნდა დახედონ პოლიტიკურ რუკას – განა შეიძლება ეს ვეებერთელა ქვეყანა მათს წინაშე ტყუოდეს?!

საქართველოში რუსეთის აგენტურის ჩაფლავებასაც თუ ამ კუთხით მივუდგებით, შპიონები არც ჩვენ უნდა დაგვეჭირა (პოლიტიკურ რუკას ხანდახან ჩვენც უნდა დავხედოთძ. რუსეთის მსტოვრებმა თავისუფლად უნდა ინავარდონ, შეაგროვონ სამხედრო, ეკონომიკური ხასიათის ინფორმაცია, აწარმოონ ძირგამომთხრელი საქმიანობა საქართველოს წინააღმდეგ. და საერთოდ, პატარა ქვეყნებმა უნდა იცოდნენ თავიანთი ადგილი ისტორიაში. აკი ბეღურებსაც ბულბულებზე უკეთეს მგალობლებად მიაჩნიათ თავი – ჩვენ უფრო ბევრნი ვართო.



მთელი გუშინდელი და გუშინწინდელი თავაშვებული ანტიქართული ისტერიის გვირგვინი გახდა რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს თვითმფრინავების დაფრენა თბილისის აეროპორტში. ისინი ჩამოფრინდნენ რუსეთის ელჩის, საელჩოს პერსონალის, სამხედროებისა და მათი ოჯახის წევრთა „გადასარჩენად". და თუმცა ნებისმიერმა ჭკუათმყოფელმაც კი იცის, რომ მათ აქ არანაირი საფრთხე არ ემუქრებათ, რუსეთის ხელისუფლების მიერ დადგმულ მთელ ამ სპექტაკლს ელფერი დაეკარგებოდა, ეს ხალხი რომ არ „დაეხსნათ" და სამშობლოში არ წაეყვანათ, საიდანაც, სხვათა შორის, ეს ორი დღეა კიდევაც კეთდება მტრული – საქართველოსთან დიპლომატიური და ეკონომიკური ურთიერთობების გაწყვეტის და ჩვენს ქვეყანასთან საომარ მდგომარეობაზე გადასვლის პროგნოზები.

**გურამ ვაშაკიძე**
**„სრ" სპეც. კორ.**

◎ საკუთარი აზრი

# ვის ემუქრებიან?



**მთელი რუსეთი ახლა ყალყზე დგას იმის გამო, რომ საქართველოში მათი ჯაშუში ოფიცრები დააპატიმრეს. იმუქრებიან ყველაფრით, მათ შორის ომის დაწყებითაც კი.**

არა, რა უნდა ექნა საქართველოს, შორიდან ეცქირა მათი ჯაშუშობისთვის, ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის, ქვეყნის ინტერესების ჩაწიხვლისთვის? რაღა ვყოფილვართ მაშინ, – ძველებური ყმები, მონები?

იმავე წუთას საელჩო ლამის დახურეს, ხალხი გაიწვიეს, 2 თვითმფრინავი გამოაგზავნეს მათი ოჯახების საევაკუაციოდ. განა რა მოხდა? რა, ეს პირველია, როცა უცხოეთში რუსეთის აგენტებს იჭერენ? ასეთი ამბავი უცხო ხილია მათთვის? რა თქმა უნდა, არა.

რუსეთს საქართველოს ჯინი აქვს. როგორ გამიბედა ამ პატარა ქვეყანამ ამხელა იმპერიასო. სათათბიროს დეპუტატმა ალექსი მიტროფანოვმა სწორედ ესა სთქვა: რუკას დახედეთ – რამხელა ვართო. დათვი გვქვია და თათს ჩაგათხლეშთო... უკვე მორევაზე, ძალადობაზეა საქმე? არ გარკვეულან ფაქტებში, დეტალებში და პირდაპირ გაჟლეტას გვიპირებენ.

ეს ყველაფერი საბაბია, მიზეზია. ძირი სულ სხვაა. აი, რას ამბობს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, პოლიტოლოგი ალექსანდრ ციპკო: ჩვენს ერს არა ჰყავს არც მეწარმეები და არც ვაჭრები. ამიტომ იგი ვერ უძლებს კონკურენციას კავკასიელებთან. აქედან მოდის გაღიზიანებაც და გაბოროტებაც. არადა, კავკასიელთა სიძულვილმა შეიძლება მთელი რუსეთი გადაიყოლოს.

ხედავთ, რაშია საქმე? ხედავთ, სადაა დამარხული ძაღლის თავი? ვერ გვიტანენ, ვეჯავრებით, ვეზიზღებით. რატომ? მეც კავკასიელი ვარ, მაგრამ წარმოშობით რუსი, საქართველოში დაბადებული, გაზრდილი, დაოჯახებული. ესე იგი, მეც მემუქრებიან, მეც მებრძვიან? სირცხვილია, აფხაზებსა და ოსებზე თითქოს თავს იკლავენ, ათი ათასობით ჩემნაირ ქართველებთან შეზრდილ-შესისხლხორცებულს კი სწირავენ? ასე ნამდვილად არ ივარგებს.

**ანა პავლოვა,**
**დიასახლისი, თბილისი.**

განსჯა

# კანონმდებლებისთვის

მოდის ჩვენ კანონმდებლობაში. უფრო ღრმად რომ ვიცნობდეთ რიგი დემოკრატიული ქვეყნების საარჩევნო კანონმდებლობას და საკითხს, რომლის რეგულირებაც მიზნად დავისახეთ, უთუოდ დავფიქრდებოდით, რომ დათქმული პირობა, ერთ შემთხვევაში შეიძლება აღნიშნულ არჩევნებში ერთი კანდიდატის მონაწილეობით იყოს გამოწვეული. მაშინ სხვა ქვეყნების მაგალითზე იმასაც ვიფიქრებდით, რამდენად ღირს ასეთი არჩევანისათვის ხარჯების გაწევა და იქნებ გვეფიქრა საკითხის პირდაპირ გადაწყვეტაზე — მანდატის ერთი კანდიდატი, არჩევნების გარეშე ხდება მისი მფლობელი. ამასთან, იმ შემთხვევაშიც თუ პრობლემა არჩევნებში მონაწილე სხვა კანდიდატების შეუთავსებლობის საკითხთან დაკავშირებით წარმოიქმნება, ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნებში საკითხი ასე წყდება: გამოკლებული წევრის მონაცვლე ხდება მისი მხარდამჭერი პარტიის პროპორციულ არჩევნებში წარმოდგენილი სიიდან რიგით შემდგომი კანდიდატი. რამდენადაც დამატებითი მაჟორიტარული არჩევნები უარყოფილია და მაინც პარტიული უმრავლესობის ხელში რჩება საკრებულოს მართვის სადავეები, შემოთავაზებული ვარიანტი ითვალისწინებს საკრებულოში არსებულ პოლიტიკურ ძალთა წარმომადგენლობის პარიტეტს.

ვინაიდან კანონმდებელმა გადაწყვიტა „შეებრძოლოს“ ქართულ საარჩევნო სამართალში დამკვიდრებული სიყალბეების პრაქტიკას, მაგრამ მმართველ პოლიტიკურ ძალას არ უნდა ხელიდან გაუშვას გარანტირებული გამარჯვების გამოცდილი ეს რესურსი, გამოსავლად საკანონმდებლო კოდექსი ისეთი „რეფორმატორული იდეებით“ გაამდიდრეს, რომლის მსგავსი ჯერ არავის მოუგონია. ამ ნოვაციის მთავარი ძარღვი კი ის არის, რომ გაყალბების საშუალება კანონდებულ სახეს მიიღებს, ისეთი ტექნიკური მანიპულაციის დონეზე, რომ ეჭვიც არავის გაუჩნდება.

დარწმუნებული ვართ, ეს იდეაც ჯერ საკრებულოთა არჩევნების დროს იქნება აპრობირებული და მერე შეიძლება საყოველთაო „აღიარებაც“ მიიღოს საპარლამენტო არჩევნების დონეზე. ამ ნოვაციის მოკლე შინაარსი კი შემდეგშია: პროპორციული (მუხლი 123-4ძ და მაჟორიტარული (მუხლი 124-2ძ არჩევნების დროს, სუბიექტების მიერ ხმების თანაბრობის შემთხვევაში უპირატესობის მიკუთვნება საოლქო კომისიაში რეგისტრაციის თარიღის ან სულაც განსხვავებული დროით — საათებისა და წუთების მიხედვით მოხდება. ნოვაციის არსებითი ფასეულობა ის არის, რომ ერთპარტიულ საოლქო საარჩევნო კომისიებს ხელთ უპყრიათ „უფლება“, ყველა საჭირო შემთხვევაში იგი დედა-პარტიის ინტერესების სასარგებლოდ აამოქმედონ.

დემოკრატიული სახელმწიფოების საარჩევნო სამართალი, ასეთ შემთხვევაში კრიტერიუმად შეჯიბრობითობის პირდაპირ მაჩვენებელს იყენებს და მაჟორიტარულ არჩევნებში ხმების თანაბრობის შემთხვევაში უპირატესობას იმ კანდიდატს ანიჭებს, რომელსაც სხვებზე უკეთესი შედეგები აქვს მოპოვებული უმრავლეს საარჩევნო უბნებში. შემოთავაზებულ ვარიანტში, ნაციონალ-დემოკრატებთან დამარცხებულ მაჟორიტარ კანდიდატს გულდასამშვიდებლად მონაცვლის პერსპექტივა მაინც რჩება, მაგრამ პროპორციული არჩევნების დროს, ასეთი მექანიზმის შემოღება, არა მხოლოდ სარეგულაციო საგნის უცოდინარობის შედეგია. არჩევნებს პროპორციული იმიტომ ჰქვია, რომ ყოველ სუბიექტს მოპოვებული ხმების პროპორციულად ეკუთვნის მანდატები. ხმების თანაბრობის შემთხვევაში ამ სუბიექტებს იმდენი მანდატი უნდა გამოეყოს, რა პროცენტსაც შეადგენს მათ მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა.

შემოთავაზებული ნოვაციის რეალური ბუნება ისეთია, რომ იგი „საკანცელარიო დარღვევის“ გზით საოლქო საარჩევნო კომისიას მიაკუთვნებს „უფლებას“ მმართველი პოლიტიკური გუნდისთვის არასასურველი პოლიტიკური ძალა არ შეუშვას საკრებულოში. მეორე მხრივ, ამგვარი კრიტერიუმის შემოღება ისევ მმართველი პარტიის სასარგებლოდ მუშაობს, ვინაიდან ამ გზით გამონთავისუფლებული ხმების მეტი წილი მის ბალანსზე დაჯდება და მანდატების რაოდენობაც გაეზრდება.

საგნის უცოდინარობას კიდევ ერთი საარჩევნო ნოვაციის გამო შევეხეთ. საარჩევნო სამართალი რომ ჰქვია სფეროს, გამარჯვების მიზანი ყველა საშუალებას არ ამართლებს, მით უფრო, როცა აღნიშნულ და ბევრ სხვა ე.წ. ნოვაციას არც სამართლებრივი გამართლება აქვს და არც სამართლიანობით გამოირჩევა. საქართველოს საარჩევნო სამართალში, წლების მანძილზე აქტიურად ინერგება არათანაზომადი კრიტერიუმების გათანაბრების პრაქტიკა. რიგი ახალი ცვლილებებიც მორიგი ასეთი მცდელობაა, რომელთა მეშვეობითაც საარჩევნო პრინციპების უგულებელყოფით, საარჩევნო სამართალში ფალსიფიკაციის კანონიერ ჩარჩოებში გაფორმება ხდება.

ერთი ასეთი საავტორო გამოგონებაა საარჩევნო კოდექსის 123-ე მუხლის მესამე პუნქტი, რომლის თანახმად „თუ საარჩევნო ოლქში პარტიული სიების მიერ მიღებული მანდატების ჯამი მათ საერთო რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდება (პროპორციული არჩევნების თავისებურების უცოდინარობის ახალი ნიმუში — **ო. მ.**ძ, გაუნაწილებელი მანდატებიდან თითო მანდატი თანმიმდევრულად მიეკუთვნებათ პირველ რიგში იმ პარტიებს, რომლებმაც ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით ვერ მოიპოვეს მანდატი, მაგრამ მოაგროვეს არჩევნებში მონაწილეთა (კიდევ ერთი ნიმუშიძ ხმების 5 პროცენტზე მეტი, ხოლო შემდეგ იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც უკვე მოიპოვეს ერთი მანდატი მაინც, ამ შემთხვევაში თითო მანდატი მიეკუთვნება იმ პარტიულ სიებს, რომლებმაც არჩევნებში ხმების მეტი რაოდენობა მიიღეს“.

ხსენებულ მეორე პუნქტს 5%-იანი ბარიერი შემოაქვს, მაშინ, როცა საკრებულოებში პროპორციული არჩევნებით 10 მანდატი თამაშდება და უბრალო არითმეტიკული გათვლებით ერთი მანდატის მოპოვებას ნამდვილი ხმების 10% ესაჭიროება. კიდევ ერთხელ უნდა განვმარტოთ, რომ პროპორციული არჩევნების მთავარი თავისებურება ის არის, რომ ამომრჩეველთა ხმები არ იკარგება. რაც იმას ნიშნავს, რომ იმ სუბიექტების ხმები და შესაბამისი მანდატები, რომლებმაც ვერ გადალახეს დადგენილი ბარიერი, მოპოვებული ხმების პროპორციულად გადანაწილდება იმ სუბიექტებზე, რომლებმაც ბარიერი დაძლიეს. მაშ რას ნიშნავს კანონმდებლის მიერ დადგენილი საარჩევნო ოლქში პარტიული სიების მიერ მიღებული მანდატების ჯამის საერთო რაოდენობაზე ნაკლებობა? ეს ხომ იმისთვის არის მოგონებული, რომ პროპორციული არჩევნებისთვის არათანაზომადი 5%-იანი ბარიერი შემოვილოთ და ამით მოხდეს იმის დემონსტრირება თუ როგორ ზრუნავს კანონმდებელი მრავალპარტიული საკრებულოების შესაქმნელად. მაგრამ ჩანაფიქრი თეთრი ძაფით შეგვიკერავს და ვინც იდეის ზემორე ჭეშმარიტ ტრანსკრიპციას წაიკითხავს, მიხვდება მის ფორმულასაც: გამოგვივიდა ჩვენთვის იმიტომ, რომ ბევრი „ვეცადეთ“ თქვენთვის.

ყოველივე აღნიშნული იმის პირდაპირი შედეგია, რომ საარჩევნო სამართლის სამართლიანობის დაცვა ქართული კონსტიტუციური სამართლის უმთავრეს პრობლემად რჩება დღესაც. ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ ერთი მხრივ, თავად კანონმდებელი აბსოლუტურად შეუზღუდავია საარჩევნო კანონმდებლობაში ცვლილება-დამატებების შეტანის სიხშირისა და დროულობის თვალსაზრისით; მეორე მხრივ, მმართველი პარტია აქტიურად იყენებს ამ ე.წ. ღია კარების რეჟიმს. ამდენად, საარჩევნო კანონმდებლობა არ შეიძლება ჩაითვალოს პარლამენტის დამოუკიდებელი საქმიანობის პროდუქტად. არადა, ცალკეულ სახელმწიფოებში აღნიშნული საკითხების რეგლამენტაცია კონსტიტუციური ნორმების ძალით ხორციელდება.

მაგალითად, პორტუგალიაში, მოქმედ საარჩევნო კანონში შესწორება მიღებული უნდა იქნეს მორიგი არჩევნების დღემდე არა უგვიანეს ხუთი თვისა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ამოქმედება მხოლოდ შემდეგ არჩევნებთან დაკავშირებით მოხდება. ჩვენში, ასეთი შეზღუდვა სავალდებულოდ მიგვაჩნია, თანაც ერთი-ორად გაზრდილი შემზღუდავი ვადით. ეს ნორმა შეიძლება საარჩევნო კოდექსით განისაზღვროს, ხელშეუხებლობის თაობაზე მისი კონსტიტუციური ნორმით დაცულობის პირობებში.

ჩვენი საარჩევნო სამართლის კანონთა კოდიფიცირებული აქტი, ისევე როგორც თბილისის შესახებ კანონში ჩართული საარჩევნო პრინციპების მიღების წესი, ექვემდებარება პრეზიდენტის ვეტოს. ამ დროს, მექსიკის საპრეზიდენტო რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად, საარჩევნო კანონი იმ კანონთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელზეც პრეზიდენტის ვეტოს უფლება არ ვრცელდება. ეს, პირველ რიგში, საკანონმდებლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის მაჩვენებელია. ჩვენი აზრით, ასეთ კანონთა რიგში უნდა მოხვდეს კანონები პარლამენტის წევრის სტატუსის, მუდმივმოქმედი კომიტეტების და დროებითი საგამოძიებო კომისიების შესახებ და შიგასაპარლამენტო საკითხებთან დაკავშირებული სხვა კანონები.



**ოთარ მელქაძე**

ინფორმაცია

## მიდიან, მიდიან!

**რუსეთის ელჩი ვიაჩესლავ კოვალენკო რუსი ოფიცრების დაკავების ფაქტს საქართველოს ხელისუფლების მიერ დადგმულ შოუს უწოდებს და აცხადებს, რომ რუსული მხარის მცდელობის მიუხედავად საქართველოს მთავრობამ მეგობრული ურთიერთობის დამყარების საშუალება არ მისცა.**

**„საქართველოდან უვადოთ მიემგზავრება საელჩოს 100-ზე მეტი თანამშრომელი. მე კი კონსულტაციებზე მივდივარ, რათა ჩემი ქვეყნის ხელისუფლება საქართველოში შექმნილი მდგომარეობის კურსში ჩავაყენო. მე ვშიშობ, რომ ქართველების მოპყრობა რუსეთის მოქალაქეების მიმართ სცილდება ნორმის ფარგლებს და საშიშროების ქვეშ ექცევა რუსეთის ყველა მოქალაქე, რომლებსაც ნებისმიერ დროს ემუქრებათ თავდასხმა“, — განაცხადა კოვალენკომ.**

## სამშვიდობოებზე თავდასხმის შესახებ იუწყებიან

**ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ნაცემია სამი ოსი სამშვიდობო ძალების ჯარისკაცი. ინფორმაცია ამის შესახებ, რუსულ მედიაში ცხინვალის ბეჭვდისა და ინფორმაციის კომიტეტზე დაყრდნობით გავრცელდა.**

**გუშინწინ საღამოს ქართული სოფლის ავნევის ტერიტორიაზე შვიდმა უცნობმა პირმა დაცხრილა ავტომობილი, რომელიც ეკუთვნოდა ცხინვალის სამშვიდობო ძალების ბატალიონს. დაცხრილვისას მანქანაში იმყოფებოდა მძღოლი ჰამლეტ კუძიევი, სოსლან ტასოევი და კონსტანტინე ფუხაევი. ცხინვალის ინფორმაციის კომიტეტი ამტკიცებს, რომ შავ ფორმებში ჩაცმული შეიარაღებული პირები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ჯარისკაცები იყვნენ, რომლებმაც ამ ადამიანებს მანქანიდან გადმოსვლა აიძულა და სასტიკად სცემა ისინი. დე ფაქტო ცხინვალმა ამ საქმეზე უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე.**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროში კატეგორიულად უარყოფენ ასეთ შემთხვევას და მას ცხინვალის მორიგ პროვოკაციად აფასებენ.**

**ინტერპრესნიუსი**

არჩევნების წინ

# რუსთავში ოპოზიცია ნაციონალებმა შეაკოწიწესო

**ეს ჭორი, თითქოსდა, უსაფუძვლო არც არის. მართალია, გაზეთ „რუსთავში“ არჩევნებში მონაწილე ოპოზიციური პარტიების სიებიც კი გამოქვეყნდა, მაგრამ მათი ჩამიჩუმი არ ისმის.**

პოზიცია კი საარჩევნოდ მთელი შემართებით ემზადება, თუმცა რუსთაველებს ეს არჩევნები უფრო კომუნისტურს აგონებს. მართალია ედპ-მ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა, მაგრამ ამას გავლენა არაფერზე მოუხდენია. რაც შეეხება სხვა პარტიებს, ზოგიერთ მათგანს ოფისებიც კი არა აქვს. ასეთი მდგომარეობა კი ჩრდილს აყენებს არჩევნებს.

მთავარი მაინც ისაა და მოსახლეობის კმაყოფილებასაც ის იწვევს, რომ ქალაქში განახლების ელფერი იგრძნობა, საქმეც კეთდება. ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებელმა თავის მოღვაწეობის მოკლე დროში ბევრს მიაღწია. რუსთაველებს ყველაზე მეტად ახარებს, რომ ლამის უგზოდ დარჩენილ ქალაქში ახალი ასფალტი ინტენსიურად იგება, კეთილმოწყობილი ხდება და ლამაზდება ქუჩები, სკვერები, შადრევანობანამ აქაც მოიკიდა ფეხი და რამდენიმე მათგანი საკმაოდ ეფექტურად ჩუხჩუხებს ხოლმე. ბოლო დროს მრავალი სპორტული მოედანი შეემატა ქალაქის უბნებს, ხოლო მეტალურგთა უპირველესი ფეხბურთელთა გუნდის წევრები ჩინებული წარმატებებით ახარებენ თავიანთ გულშემატკივრებს.

ამდღეებში რუსთავს ათი კომფორტული ავტობუსი შეემატა, ისინი ორ მარშრუტზე რეგულარულად მოძრაობენ და ფასიც ხელმისაწვდომია. თუმცა ხალხში ჭორი დადის — ეს საარჩევნო პიარია, 5 ოქტომბერი ჩაივლის და ისინი ჩაილურის წყალს დალევენო. ზოგიერთი გაცილებით ეჭვიანი იმასაც ამტკიცებს, ტროლეიბუსებსაც, რომლებიც ვითომდა ამ ახალი ავტობუსებით ჩაანაცვლეს, ჯერ თვალთახედვიდან გააქრობენ და მერე სამუდამო დავიწყებასაც მისცემენო. იაფფასიანი ტროლეიბუსები კი სოციალურად დაუცველთა გაჭირვების ტალკვესია.



ჩვენ დავინტერესდით საკრებულოს დეპუტატობის ზოგიერთი კანდიდატის აზრით:

**დავით ნადაშვილი:** — ქალაქის ხელისუფლება საკმაოდ ორგანიზებულად ხვდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს. რუსთავში ბევრი რამ კეთდება, ამას ყველა ხედავს, ვფიქრობთ, მოსახლეობაში საკმაო ნდობა მოვიპოვეთ. რაც შეეხება ოპოზიციას, მათ შორისაც არიან ცნობილი პიროვნებები... ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემთხვევაში აღმშენებლობითი კურსი ბევრად უფრო გაფართოვდება. გასაკეთებელი კი ბევრია, მთავარია ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ათასობით ადამიანის დასაქმება... პირველი, რაც რუსთაველების მოლოდინს გაამართლებს, ეს მეტალურგიული ქარხნის ამოქმედება იქნება. საწარმოში უკვე ათასხუთასზე მეტი ადამიანი მუშაობს. 10 ოქტომბრიდან კი მილსაგლინავი და კიდევ რამოდენიმე საამქრო ამოქმედდება. შესაბამისად, გაიზრდება მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი.

**მამუკა ჩიქოვანი:** — როგორც საკრებულოს თავმჯდომარეს და პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, მიმაჩნია, რომ ნაციონალებმა გაამართლეს ამომრჩეველთა ნდობა, ამის დასტურია ის მხარდაჭერა, რასაც წინასაარჩევნო შეხვედრების დროს ვგრძნობთ. რუსთაველები კმაყოფილნი არიან ხელისუფლების კურსით, სჯერათ პრეზიდენტის პოლიტიკის სისწორისა...

**ძალიან მინდოდა „გაჩალიჩებული“ ოპოზიციის წარმომადგენლებს გავსაუბრებოდი, მაგრამ მიუხედავად ჩემი ძალისხმევისა, ვერ მოვახერხე. ხალხში კი ამბობენ, რომ ოპოზიციების დედაქალაქელი ხელმძღვანელები ამჟამად პერიფერიებისადმი ნაკლებ ინტერესს იჩენენ. ისინი მათკენ ალბათ საპარლამენტო არჩევნების დროს მოიხედავენო, მაგრამ ეს უკვე დაგვიანებული იქნება, ავტორიტეტდაკარგულ ამ ორგანიზაციებს გაუჭირდებათ ხალხში ნდობის ერთბაშად აღდგენა.**

**გივი ჯახუა,**
**„სრ.“ საკ. კორ.**

აქცია

# ირაკლი კაკაბაძე დააჯარიმეს და გაუშვეს

***„ვერ გამაჩუმებთ, რაც უნდა მოხდეს, ჩვენ მაინც არ გავჩუმდებით!“ — ამგვარი შეძახილებით ჩასვეს ძალოვნებმა მანქანაში ირაკლი კაკაბაძე, რომელიც თანამოაზრეებთან ერთად დააკავეს. დაპატიმრების მიზეზი არც მეტი, არც ნაკლები, ეს იყო: „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრები ასფალტზე წერდნენ ქვეყანაში არსებული ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ მიმართულ ლოზუნგებს..***

***კომენტარი ამ ფაქტის შესახებ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტს ოთარ კახიძეს ვთხოვეთ.***

**— რამდენად გამართლებულია იურისტის თვალით ასეთი დაკავება?**

— მათი დაკავება უკანონოა — ასეთია ნებისმიერი სამართლიანი იურისტის თვალსაზრისი. კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ არ უარყოფს ადამიანთა შეკრებას, მათ მიერ საკუთარი შეხედულებების ხმამაღლა გამოთქმას. ვინც ნახა ირაკლი კაკაბაძისა და მისი თანამოაზრეების დაკავების კადრები, დამეთანხმება, რომ ისინი უკანონოს არაფერს სჩადიოდნენ: რუპორით ხელისუფლებას და შინაგან საქმეთა სამინისტროს მკვლელების დასჯასა და უსამართლობის აღკვეთას მოუწოდებდნენ. ასფალტზე წერდნენ თავიანთ პოზიციას. ამაში კი უკანონო არაფერია — ვერც ერთი იურისტი ვერ შეძლებს საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვას. შეხედეთ დაპატიმრებისას გადაღებულ კადრებს. ერთდროულად იღებდა „იმედი“, „რუსთავი-2“, „საზოგადოებრივი მაუწყებლობა“ და თვით შინაგან საქმეთა სამინისტროს გადამღები ჯგუფი.

თუ შეკრების, ან აქციის მონაწილენი არღვევენ კანონს, მართავენ ძალადობას, იქ უნდა მივიდეს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი და მოუწოდოს მათ კანონის დაცვისაკენ. ის ფაქტი კი, რაც მოხდა, მიუღებელია ჩვენთვის. არ შეიძლება ასე საბრალდებო სკამზე დასვა მხოლოდ მშვიდობიანი აქციის ჩატარების გამო. მადლობა ღმერთს ამჯერად ყველაფერი 15 ლარი ჯარიმით დამთავრდა.

**— სახელმწიფომ უნდა დაიცვას სიმშვიდე და წესრიგი...**

— მართალია, სახელმწიფომ უნდა დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი, მაგრამ ამ დროს მან არ უნდა ხელყოს სიტყვის თავისუფლება, არ უნდა შელახოს მოქალაქეთა უფლებები. სახელმწიფომ უნდა შეძლოს ამ საკითხში ოქროს შუალედის დაცვა. საჯარო მოხელეებს აწევთ მძიმე ტვირთი: ისინი უნდა ემსახურებოდნენ ქვეყანას, მაგრამ ამავე დროს მშვიდად იტანდნენ მათი მისამართით გამოთქმულ მკაცრ კრიტიკასაც, — ასეთია ჩემი და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელთა აზრი მომხდარი ფაქტის შესახებ.




**ესაუბრა**
**ხათუნა ჩიგოგიძე**

◎ აი მეზობელი!

# მოშხამული სისხლი

## ექსპერტთა აზრით, რუსეთს დაღუპავს ანტიკავკასიური განწყობილება

**დღეს რუსეთში, ფაქტობრივად, სამოქალაქო ომია. ეთნოკონფლიქტების გეოგრაფია თანდათან ფართოვდება. იგი უკვე გადაიჭიმა ბაიკალიდან კარელიამდე. მარტო წლეულს ამ ნიადაგზე სისხლი დაიღვარა მოსკოვშიც, სალსკშიც, ხარაგუნშიც, ვოლსკშიც, კონდოპოგშიც. ამასთან, თუ აქამდე რუსები ხოცავდნენ უცხოტომელებს, ახლა ეს უცხოტომელები დაერივნენ რუსებს. მაგალითად, ხარაგუნში რუსები იმსხვერპლეს აზერბაიჯანელებმა, ხოლო კონდოპოგში – ჩეჩნებმა...**

ჯერ კიდევ 15-20 წლის წინათ აითვალისწუნეს რუსებმა „ლიცო კავკაზსკოი ნაციონალნოსტი": თითქოს ეგენი იყვნენ ამხელა იმპერიის დამქცევები, დამჩაგვრელები, დამამცირებლები. ტყუილი ყოფილა. უკვე გაჩნდა ტერმინი „ლიცო სლავიანსკოი ვნეშნოსტი". ახლა მათ უტევენ, მათ აგინებენ, მათ დასდევენ. აქ ძირითადად არჩევენ (ხანდახან, ვერც არჩევენ) უკრაინელებს. ალბათ, მიხვდით, უკრაინა ძველებურად აღარ ემორჩილება რუსეთს. ამიტომ მისი მოგუდვა თუ არა, გათათხვაც „ხეირია".



2005 წელს უშუალოდ მოსკოვში მისხალ-მისხალ აწონეს ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენელთა დანაშაული. დაპატიმრებულთა შორის მათმა წილმა შეადგინა (დაიჯერებთ?ძ – 46,2 პროცენტი. გამოდის, რომ მკვლელების, ყაჩაღების, სექსუალური მანიაკების ნახევარი უცხოტომელები ყოფილან. ეს 10-მილიონიანი მოსკოვი მაგათი საბურთაო გამხდარა, მაგათი საძარცვი და საჭყლეტი.

ისე, ნათქვამია, ყველამ თავისი მკვდარი იტიროსო. ჩვენც ამჯერად ასე მოვიქცეთ. რომ ამბობდნენ, ქართველები აქცევენო მოსკოვს, მთლად ეგრე არ ყოფილა. ჩასულ კრიმინალთა შორის პირველ ადგილზე გავიდნენ უკრაინელები (3.664 დანაშაულიძ, მეორეზე – ტაჯიკები (2.766ძ, მესამეზე – მოლდაველები (2.475ძ, მეოთხეზე – უზბეკები (1.971ძ, მეხუთეზე კი აზერბაიჯანელები (1.518ძ. აი, მხოლოდ ამის შემდეგ მოდიან ქართველები. მათ კისერზეა 950 დანაშაული. მერე არიან სომხები – 881, ბელორუსები – 536 და ყირგიზები – 533 დანაშაული.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ნუსხაში აზერბაიჯანელებს, ქართველებსა და სომხებს შესაბამისად უკავიათ მე-5, მე-6, და მე-7 ადგილები, რუსები მათ მიმართ ბოღმას მაინც ვერ ფარავენ და ღიად ამბობენ: მართალია კავკასიელებს შუა ადგილები უკავიათ, მაგრამ... ისინი სჩადიან ყველაზე საშინელ, ყველაზე მძიმე დანაშაულობებსო. მაგალითად, სომხები დაკავებულები არიან შეკვეთილი მკვლელობებითო, ქართველ-აფხაზები (ხედავთ, აქ რუსებმა გაგვაერთიანესძ – ძარცვითა და ქურდობითო, აზერბაიჯანელები კი ბაზრების კონტროლით, რითაც მათი შემოსავალი წელიწადში 4 მილიარდ დოლარს აჭარბებსო.

ისე, როგორც იქნა (ნეტავ, თუ ამას მართლა ველირსეთძ, რუსები მიხვდნენ, რომ ამ ეთნოკონფლიქტებში, უცხოტომელთა გაბოროტებაში თავადვე არიან დამნაშავენი. როგორც ლევად-ცენტრის სოციალურ-პოლიტიკურ გამოკვლევათა განყოფილების უფროსი ლევ გუდკოვი წერს, დღეს რუსეთი ერთ-ერთი მოუთმენელი, შეუბრალებელი, გაავებული ერია, რომელსაც მოშხამული აქვს სისხლი. ამის მიზეზი კი გახლავთ სახელმწიფოს თანდათანობითი გახრწნა და მორალის მკვეთრი დაცემა. ამაზე მეტყველებს ჩვენში თვითმკვლელობებისა და გულის დაავადებების უზომო ზრდა. ქვეყანა ღრმა კრიზისშია და თუ ამას არ მივხედეთ, საბოლოოდ დავიღუპებითო („კომსომოლსკაია პრავდა", 12 სექტემბერი, 2006 წელიძ.

თვითონ ამ გაზეთმა მოაწყო სოციოლოგიური გამოკვლევა მიგრანტებზე, უცხოტომელებზე, ჩასულებზე. არა, ეს პრობლემა ამერიკაშიც დგას, ევროპაშიც, მაგრამ რაც რუსეთში ხდება, რაც აქ ამ კუთხით ხალხი შეტაკებებში იხოცება, იმდენი არც საფრანგეთშია და არც ესპანეთში, არც გერმანიაში და არც ბელგიაში... გამოკითხულთა 46 პროცენტი მოითხოვს მიგრანტთა გაძევებას, 40 პროცენტი – დამნაშავეთა დასჯას. მხოლოდ 14 პროცენტი ამბობს, რომ ისინი საჭირონი არიან, ოღონდაც ქვეყანა უნდა ჰგავდეს ქვეყანას, მილიცია კი – მილიციას...

თუმცა, მარტოოდენ მილიციას როდი აუწიეს ყური. მიადგნენ მასმედიასაც. ეროვნულ ზიზღსა და რელიგიურ სიძულვილს ყველაზე მეტად სწორედ ჟურნალისტები ნერგავენო. სულ იმას გაიძახიან, – რუსმა მოკლა სომეხი, ან ჩეჩენმა მოკლა რუსიო. მალე იმასაც დავწერთ, – ცოლმა-უკრაინელმა სილა როგორ გააწნა ქმარ-აზერბაიჯანელსო. ამიტომ პარტია „ედინაია როსიამ" მოიწადინა ცვლილებების შეტანა კანონში, რომლის ძალითაც პრესასა და ტელევიზიას აეკრძალება დამნაშავეთა ეროვნული და რელიგიური კუთვნილების ხსენება. პარტიის აზრით, სწორედ ამით აღმოიფხვრება „მტრის ხატის" ჩანერგვა რუსი ხალხის სულსა და გულში.

კარგა ხანია მთელი მსოფლიო გაჰკივის, – კრიმინალს არც სამშობლო აქვს და არც ეროვნებაო, მაგრამ ამას რუსეთი ყურამდეც არ უშვებდა. არავინ იცის, ახლა რა ეტაკათ. ღმერთმა ქნას, გონს მოვიდნენ და პასუხი მოსთხოვონ არა ერთიანად ეროვნულ უმცირესობებს, არამედ მხოლოდ კონკრეტულ პიროვნებებს.

**ბონდო გულიაშვილი**

◎ ჟრუანტელი

### ჩვენთან როდისღა გაჩნდებიან?

**2005 წლის ბოლოსთვის მსოფლიოში ითვლებოდა 7,2 მილიონი „მილიონერი", რომელთა საერთო კაპიტალი შეადგენდა 25 ტრილიონ დოლარს. ბოლო ხანს „მილიონერებმა" ძალიან გაიწიეს ბრაზილიაში, რუსეთში, ინდოეთსა და ჩინეთში.**

### ლაყაფსაც შნო უნდა

**ინტერნეტით მსოფლიოში ყველაზე ხანგრძლივი საუბარი გამართეს შვეიცარიელებმა – 28 წლის სანდრა კოზელმა და 29 წლის შტეფან ხაფნერმა. 2005 წლის 1 ნოემბერს მათ ილაპარაკეს 39 საათს, 18 წუთსა და 24 წამს. საერთაშორისო სატელეფონო საუბარში მსგავსი რეკორდია აშშ-სა და ირლანდიის აბონენტთა ლაყაფი 2005 წლის 14 თებერვალს, რომელმაც გასტანა 12 საათს, 52 წუთსა და 01 წამს.**

### თუ ხაშლამაც გაგვიძვირეს...

**ერთი კილოგრამი ძროხის ხორცი გერმანიაში ღირს 13,7 დოლარი, აშშ-ში – 8, რუსეთში – 7,4, ისრაელში კი – 6 დოლარი. საქართველოში, ჯერჯერობით, ერთი კილოგრამი კარგი ხაშლამა 5 დოლარი ჯდება.**

### ესენი რაღამ გაალატაკა?

**მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში ყველაზე ღატაკები აღმოჩნდნენ ამერიკა და იაპონია. მათი მოსახლეობის 14 პროცენტს არა აქვს მინიმალური შემოსავალიც კი. ექსპერტები ამას მიაწერენ მოსახლეობის მატებას და სამუშაო ადგილების ნაკლებობას.**

### შარვალიც გაიხადეთ და საათიც მოიხსენით?

**რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს 450 დეპუტატს ზედ აცვია 600 მილიონ 175 ათასი რუბლის ტანსაცმელი. ეს თანხა მთელი წლის მანძილზე ხელფასად ეყოფოდა 8000 მასწავლებელს, ხოლო ერთი თვის მანძილზე – 63 200 მუშა-მოსამსახურეს.**

### სიკვდილის ნათესებიც იზრდება

**2005 წელს ავღანეთში ოპიუმის ყაყაჩოს ნათესები უტოლდებოდა 104 ათას ჰექტარს, 2006 წელს კი ამ ციფრმა მიაღწია 165 ათასს. შესაბამისად, თუ შარშან ამ ნარკოტიკის წარმოებამ გადააჭარბა 4,1 ათას ტონას, წლეულს იგი ავა 6,3 ათასამდე.**

### ასეთი სიღარიბე მისაღებია

**ისრაელში სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს დაახლოებით 1,7 მილიონი კაცი. ეს მოსახლეობის ლამის 20 პროცენტია. სიღარიბის ზღვრად აქ ითვლება 274 დოლარი თვეში ერთ კაცზე, 653 დოლარი – ცოლ-ქმარზე და 817 დოლარი – ცოლქმარსა და ერთ შვილზე.**

### ამის ფასიც მატულობს?

**ბოლო 15 წლის მანძილზე დიდ ბრიტანეთში 2,5-ჯერ გაიზარდა იმ მამაკაცთა რაოდენობა, რომლებიც ფულს იხდიან სექსში. ამჟამად ქვეყანაში 3 900 ისეთი დაწესებულებაა, სადაც ქალი მიდის გამოძახებით. ლონდონში ერთი ასეთი გამოძახება მერყეობს 500-დან 1250 გირვანქა სტერლინგამდე.**

◎ ერიჰაა!

# ტუალეტის წელიწადი

**სტატისტიკოსებმა კარგა ხანია გამოთვალეს ის დრო, რასაც ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე ატარებს სამსახურში, ძილში, ჭამაში... ახლა ჯერი მიდგა ტუალეტებზეც...**

ყოველი ჩვენგანი თურმე ტუალეტში დღეში შედის 5-6-ჯერ. თითო შესვლას კი ანდომებს 3,5 წუთს. საბოლოოდ გამოდის, რომ დღეში ტუალეტში ვატარებთ 20 წუთს, თვეში – 10 საათს, წელიწადში კი – 5 დღეს.

საქართველოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა უდრის 72 წელიწადს. თუ ამას გავამრავლებთ 5-ზე, მივიღებთ 360-ს. ესე იგი, ცხოვრების მანძილზე ტუალეტში ვატარებთ ერთ წელიწადს. ცხადია, ზოგი – მეტსაც. არიან პიროვნებები, რომელთაც ერთ შესვლაზე 3,5 კი არა, 5,5 წუთიც არ ჰყოფნით.

ამიტომ ტუალეტის საერთაშორისო ორგანიზაცია (არის მსოფლიოში ასეთი პრესტიჟული სტრუქტურაძ დიდ ყურადღებას აქცევს ტუალეტების გამართვას არა მარტო შინ, არამედ გარეთაც, – ქუჩაში. თანაც დიდ ყურადღებას აქცევს უფასო სახელმწიფო ტუალეტების მოწყობას, რათა შიგ შესვლის საშუალება ჰქონდეს ღარიბ, უქონელ ხალხს. სეულში ასეთი ტუალეტი ყოფილა 2.000, ბერლინში – 1600, მოსკოვში – 250.

იყო თბილისშიც უფასო სახელმწიფო ტუალეტები. ზოგი ფასიანად აქციეს, ზოგში რესტორანი გახსნეს, ზოგში – სილამაზის სალონი, ზოგში – აფთიაქი... დღეს აქ უფასო სახელმწიფო ტუალეტს შეხვდებით იშვიათად, და იქაც სიბინძურის გამო ვერ შეხვალთ...



ისე, თურმე პლანეტის მოსახლეობის 42 პროცენტი ვერ სარგებლობს თანამედროვე ტუალეტების მომსახურებით. რუსეთში, მაგალითად, ამ სიკეთეს მოკლებულია 40 მილიონი კაცი. ჩვენთან? ჩვენთანაც საკმაო ციფრი იქნება.

სატუალეტო საქმეც დიდი საქმეა. ამასაც უნდა მივხედოთ, თორემ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს შინაურმაც და გარეულმაც ზედ რუსთაველის პროსპექტზე ჩაისველოს. დღეს იქ უფასო კი არა, ფასიანი ტუალეტიც აღარაა!

**ბადრი ღვინიაშვილი**

◎ შავი კატა





◎ აუჰ!

# ამას ვითმენდით?

## ზუგდიდის რაიონში ბავშვებს აუპატიურებდნენ

**არა, თითო უკუღმართი ყველა სოფელში თუ არა, ყველა რაიონში მაინც გამოიჩხრიკება, მაგრამ იმისთანა უკუღმართი, როგორიც ახლახან ზუგდიდის რაიონში გამოიჩხრიკა, სამარცხვინოდ მთელს ქვეყანას ეყოფა.**

თუმცა საუბარია არა ერთ, არამედ ოთხ გარეწარზე, რომელთაც ღამით შინიდან მოზარდი გაიტყუეს და იარაღის მუქარით გააუპატიურეს. კერძოდ, 26 წლის ირაკლი ჩხოლარიამ, 25 წლის ირაკლი ოთხოზორიამ, 25 წლის ლევან ბიბლაიამ და 21 წლის მანუჩარ ლემონჯავამ 12 წლის ბიჭი წინასწარ საჩუქრებით დაიახლოვეს და მერე იგი მხეცურად გაწირეს.

ახლა ისინი გაქცეულები არიან. არა, როდემდე დაიმალებიან, ოდესმე მაინც გამოჩნდებიან, მაგრამ აქ სხვა რამის თქმა გვინდა. როგორც ამბობენ, ეს მათთვის პირველი არაა, ისინი ადრეც იყვნენ შემჩნეულები მსგავს დანაშაულშიო. კი, მაგრამ, რამ დაგვამუნჯა, ხალხო, რამ დაგვაკარგვინა კაცობა, თუნდაც ქართველობა? ამისთანა რამეს ადრეც სჩადიოდნენ და ვითმენდით, ვჩუმდებოდით?

აბა, ჩვენა ვყოფილვართ, აი...

ახლა გაიფიცნენ სკოლები, ახლა ალაპარაკდნენ მასწავლებლები. რა, აქამდე არაფერი სმენოდათ? კატას რომ კუდი გადაუბრუნდება, იმას იგებენ სოფლის თავიდან სოფლის ბოლოში და ყმაწვილების გაუპატიურება ვერავინ გაიგო?

გაიგო, მაგრამ... ველოდებით ურმის გადაბრუნებას. აჰა, გადაბრუნდა კიდეც!

**სოსო გიორგაძე**

სათქმელად მომდგარი სიტყვა

# სიძულვილის კოცონი

## პარლამენტარ თემაზ დიასამიძეს ეძღვნება

**დღეს ჩვენში, ბევრგან, საუბედუროდ, სიძულვილის კოცონი გიზგიზებს. ასეთი კოცონი ზოგჯერ თავისი ფეხით, ბოლმიანი კაცივით დახეტიალობს, რათა ჩვენს საყვარელ ალაგებს და ჩვენს გულებსაც პატარ-პატარა ხანძრები გაუჩინოს.**

ასეთმა შინაურულმა სიძულვილებმა, შურ-გაუტანლობებმა, ბევრხელ არათუ დაგვშალ-დაგვანაწევრა, არამედ გადამთიელს ჩვენი თავიც დააპყრობინა.

რაღაცა ისე ადუღებულ-გაბოროტებულები ჩანან ირგვლივ ყველანი, კაცს ველარ ხედავ, პაწახანს ფიქრი შეასვენო მასთან, ან იქნებ, გულში, შენი წილი სამშობლოც მიანდო.

რაგინდ არაკეთილმოსურნეობა ჭვივოდეს ჯავახეთელ სომეხთა ამასწინანდელ მწარე შემოდავებ-შემოსაყვედურებაში, – თქვენ ერთმანეთი გძულთ, ვერ ერთიანდებით, ვერშემდგარი სახელმწიფო ხართო და სხვა, – დაკვირვებული ქართველი მასში მაინც თავისთვის გამოსადეგ რამეებსაც მოიძევს.

როგორც კი აქაურობაში ნებისმიერი საარჩევნო ფუსფუსი წამოიწყება, გაუტანლობის ურთიერთწამლეკავი ნიაღვარიც უმალ ამოხეთქავს. სიძულვილი ბუღრაობს დღეს ყველა ზემდგომ-ქვემდგომობაში. აი, მე მგონია, ქვეყნისთვის თვითმკვლელობის ტოლფასია, როცა ხელისუფლებაში, პარლამენტში, არათუ შემოქმედი ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი არა ჰყავთ, არამედ ხელოვანთადმი, სახელიანთადმი აშკარა სიძულვილიც მკვიდრობს.

ინტელიგენცია ჯერ კიდევ გმირულ მოთმინებას ინარჩუნებს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, პასუხად, სიძულვილის მეტი სხვა იარაღი თუ აღარ იპოვა, რას დაემგვანება მაშინ ჩვენი მამული, ადვილი წარმოსადგენია.

ნუ შეკრთები, თანაკუთხელო, ეს სათქმელები მარტო შენს გასაგონად არაა.

შენთან, თქვენთან, ჩვენს გამორჩეულ მოწინავეებთან ლაპარაკისას ბრძენ გოეთეს დავესესხები: „ყველა ეს მოწინავე კეთილი ადამიანი, ვისთანაც თქვენ ურთიერთობა გაქვთ, ის ხალხია, რომელსაც მე სამშობლოს ვუწოდებ...“ – ეუბნება იგი ეკერმანს.

მეც მინდა თქვენ, ჩემო ახლობელო ხალხო, სამშობლო დაგიძახო, მაგრამ თავად თქვენ მზად ხართ, სამშობლოობა გამიწიოთ? ვერა, ვერ ვგრძნობ ასეთ რამეს.

ახლა მარტოდ ვარ ჩემს სოფლურ ოდა-სახლში და სიყვარულთან, ჯავრთან, სიბრალულთან ვმუსაიფობ. და, იცით? – ჩვენ, აქაურებმა, აჭარაში, ერთმანეთი რომ ცოტა უფრო გაბედულად, გულიანად წინ წავწიოთ, გამოვაჩინოთ, დავიცვათ, ნიჭი, უნარი დავუფასოთ



და ამით ერთმანეთი უკეთ ვაქართველოთ, ამას დედა-სამშობლო განა გვიწყენს? პირიქით!

შენ კი, ძვირფასო ჩვენებურო (შენობით მოგმართავ, ვითარცა შინაურსძ, პარლამენტის სახელით, ამას წინათ, ბათუმში რომ ჩამობრძანდი, უპირველესად ის მოახერხე, რომ ჩვენი ქალაქის საკრებულოში ასარჩევთა შორის არავითარ შემთხვევაში არ მოხვედრილიყო დღეს საკმაოდ აღიარებული კინორეჟისორი, კულტურის მოღვაწე, შენი თანაკუთხელი ზაზა ხალვაში.

იხ. 8 გვ.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# „საქართველოს ხელისუფლების მოქმედება შეიძლება შეფასდეს როგორც ანტირუსული პოლიტიკის მორიგი გამოვლინება“

**ასეთი განცხადება გააკეთა რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების მეთაურმა სერგეი ლავროვმა. როგორც მან თქვა, „ეს არის საბაბი საიმისოდ, რომ გაეროს უშიშროების საბჭომ მოჰკიდოს ხელი ამ პრობლემას“. მინისტრის აზრით, „აქ ეუთოსთვისაც გამოინახება საქმე“.**

ყველაფერი კი დაიწყო სამშაბათს, როცა საქართველოში დააკავეს რუსი სამხედრო მოსამსახურეები – რუსეთის ფედერაციის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ოთხი ოფიცერი (მთავარი სადაზვერვო სამმარ-



თველოს პოლკოვნიკი ალექსანდრე სავვა, მთავარი სადაზვერვო სამმართველოს პოლკოვნიკი დიმიტრი კაზანცევი, პოლკოვნიკი ალექსანდრე ზაგოროდცევი და მაიორი ალექსანდრე ბარანცევიძ. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ დააკავეს კიდევ ერთი რუსი ოფიცერი. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, სამხედრო მოსამსახურეები აწარმოებდნენ სადაზვერვო საქმიანობას ქვეყნის ტერიტორიაზე. უფრო მეტიც, ერთი დღის შემდეგ დაკავებულმა ოფიცრებმა (თუ ქართული მხარის მტკიცებას ვერწმუნებითძ „ყველაფერი აღიარეს“.

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა თქვა, რუს ოფიცერთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა ანატოლი სინიცინი, რომელიც თურმე, 2005 წლის 1 თებერვალს გორში მომხდარი ტერაქტის ორგანიზატორიც ყოფილა. მერაბიშვილმა ასევე აღნიშნა, რომ აპირებს გადასცეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აუდიო- და ვიდეოჩანაწერები, რომლებზეც დაფიქსირებულია, თუ რუსეთის ფედერაციის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ოფიცრები როგორ აწარმოებენ პირადად სადაზვერვო საქმიანობას, როგორ მუშაობენ საქართველოს მოქალაქეთა გადაბირების მიზნით და როგორ ახორციელებენ კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა უკვე მოასწრო განეცხადებინა, რომ დაკავებულ ოფიცრებზე არ ვრცელდება დიპლომატიური იმუნიტეტი და ამიტომაც მათი გადაცემა რუსეთის მხარისათვის გამორიცხულია. „ჩვენ ყოველმხრივ ვეცდებით, რომ ეს ადამიანები წარსდგნენ საქართველოს მართლმსაჯულების წინაალმდეგ“, – დასძინა თავდაცვის მინისტრმა. სავარაუდოდ, რუს ოფიცრებს ბრალდებებს 29 სექტემბერს დაუყენებენ.

საქართველოში მომხდარი მოვლენების კომენტირებისას, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა რუსი სამხედრო მოსამსახურეების მიმართ წაყენებულ ბრალდებებს „გამონაგონი და მარაზმი“ უწოდა. სამი ოფიცერი, – თქვა ივანოვმა, საქართველოში სულ სამი თვის წინათ ჩავიდა, და დასძინა, რომ რუს ოფიცრებს არანაირი დოკუმენტებისთვის არ მოუწერიათ ხელი და არც ჩვენებები არ მიუციათ.

ეს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან პირველი პროვოკაცია არ არის, რომელიც ცდილობს რუსეთის „გამოდევნას“ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების ზონებიდან. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, საქართველოს მთავრობის ასეთი მოქმედება მომზადებულია თბილისის გარკვეულ კაბინეტებში და იგი მიზნად ისახავს ანტირუსული ისტერიის კიდევ უფრო გაღვივებას. როგორც ჩანს, ასეთი შეკვეთა მიიღო საქართველომ ე. წ. „მეგობრების“ მხრიდან.

აღსანიშნავია ისიც, რომ როგორც გაზეთი „ალია“ წერს, ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, რუსი ოფიცრების დაკავებაში საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს ამერიკის სპეცსამსახურები დაეხმარნენ. გამოცემის აზრით, ამერიკის სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ ამ ოპერაციაში და მათ ასეთი გზით სურდათ ექიათ შური მოსკოვში ბრიტანელ დიპლომატებთან დაკავშირებით მიმდინარე წლის დამდეგს აგორებული სკანდალისთვის. რუსეთმა უკვე დაიწყო საპასუხო ზომების მიღება: რუსეთის საელჩომ თბილისში ვიზების გაცემა შეუწყვიტა უკლებლივ ყველა საქართველოს მოქალაქეს.

სახელმწიფო სათათბიროში ფრაქცია „როდინას“ ლიდერმა სერგეი ბაბურინმა მოითხოვა შესაბამისი რაოდენობის საქართველოს სპეცსამსახურების თანამშრომლების დაკავება, დეპუტატმა დიმიტრი როგოზინმა კი განაცხადა, რომ საჭიროა შეიარაღებული ძალების გამოყენება რუსი სამხედროების გასათავისუფლებლად.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მოსკოვში კონსულტაციებისთვის გამოიხმო რუსეთის ფედერაციის ელჩი თბილისში ვიაჩესლავ კოვალენკო, აგრეთვე მას დაგეგმილი აქვს საქართველოში მოქმედი რუსეთის დაწესებულებების თანამშრომლების და მათი ოჯახების წევრებთა ევაკუაცია. საამისოდ გამოყოფილია საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს თვითმფრინავები, რომლებიც შეასრულებენ შესაბამის რეისებს თბილისში და – უკან. ასეთი ინფორმაცია გამოქვეყნდა რუსეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების საიტზე.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, ურჩევს რუსეთის მოქალაქეებს, რომ თავი შეიკავონ საქართველოში გამგზავრებისგან. ამის პასუხად, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ვალერი ჩეჩელაშვილმა კი განაცხადა, რომ რუსეთის მოქალაქეებს შეუძლიათ მშვიდად დარჩნენ საქართველოს ტერიტორიაზე, თუ „მათი ყველა საბუთი წესრიგშია“.

**ივან მატოვი**
«ЧАС» **(ლატვიაძ.**

# მიხეილ სააკაშვილი: „ჩემთვის საერთოდ გაუგებარია ეს ისტერიკა“

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გამოთქვა გაკვირვება იმ „ისტერიკასთან“ დაკავშირებით, რომელიც შეინიშნება რუსეთში ამ ქვეყნის ოფიცრების დაპატიმრების შემდეგ. „ჩემი აზრით, ყოველ ასეთ საკითხს უნდა მივუდგეთ ზედმეტი ემოციისა და დაძაბულობის გარეშე, – უთხრა პრეზიდენტმა ჟურნალისტებს. – მე უკვე ერთ წელიწადზე მეტია ყველას გასაგონად ვაცხადებ, რომ ჩვენი კონტრდაზვერვა მუშაობს, რომ ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ვმუშაობთ ჩვენი სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტების დასაცავად. როგორც ჩანს, ამ ადამიანებს ეგონათ, რომ მე ვხუმრობდი ან ვტრაბახობდი“.**




„არსებობს რაღაც ზღვარი, რომელსაც არავინ არ უნდა გადააბიჯოს, – აღნიშნა სააკაშვილმა. – არსებობენ საზღვრები, რომლებსაც ყოველთვის დაიცავს ნებისმიერი თავმოყვარე სახელმწიფო. ყველას უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ ჩვენ უკვე აღარ ვართ შევარდნაძისდროინდელი რაღაც გაუგებარი წარმონაქმნი. ჩვენ ვართ ნამდვილი, ქმედითი, ეფექტიანი დემოკრატიული სახელმწიფო და ვაკეთებთ იმას, რასაც გააკეთებს ნებისმიერი სხვა დემოკრატიული ქვეყანა – ინგლისი, პოლონეთი, ამერიკა და ა.შ. აქედან გამომდინარე, არავის არაფერი აღარ უნდა გაუკვირდეს. ჩვენ დავიცავით ყველა სამართლებრივი პროცედურა, ყველას უფლება იქნება დაცული და უზრუნველყოფილი“.

„საერთოდ, ჩემთვის გაუგებარია ეს ისტერიკა“, – აღნიშნა საქართველოს ლიდერმა საქართველოდან რუსეთის დაწესებულებების თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრების ევაკუაციის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. „რუსი სამხედროების ოჯახს არავინ ემუქრება საქართველოში, იმიტომ, რომ საქართველო მოქმედებს მიღწეულ მორიგებათა ფარგლებში, იცავს ხელშეკრულებით ნაკისრ ყველა ვალდებულებებს, მაგრამ საქართველო ასევე იცავს თავის კანონებს, და სურს, რომ ყველა პატივს სცემდეს მათ. დროა, ყველამ დაიმახსოვროს, რომ ჩვენ გვაქვს ეფექტიანი აპარატი“, – თქვა მიხეილ სააკაშვილმა.

გაუკეთა რა კომენტარი საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის ვიზების გაცემის შეწყვეტას და რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ სხვა სანქციების შემოღების შესაძლებლობას, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია, არსებობს თუ არა იმაზე უფრო დიდი სანქციები, რომლებსაც რუსეთი უკვე იყენებს. სააკაშვილმა ასევე მადლობა გადაუხადა საქართველოს სპეცსამსახურების თანამშრომლებს, რომელთა მუშაობის შედეგადაც შესაძლებელი გახდა მთავარი სადაზვერვო სამმართველოს ოფიცრების დაკავება.

# მორიგებები დაიცვას და პროვოკაციები შეწყვიტოს

**„უშიშროების საბჭო გამოთქვამს დიდ შეშფოთებას კოდორის ხეობაში ქართული მხარის მოქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც არღვევს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას. ეს დოკუმენტი, კერძოდ, მხარეებს მოუწოდებს, რომ თავი შეიკავონ ნებისმიერი ისეთი მოქმედებისგან, რომელსაც შეუძლია მოახდინოს გავლენა სამშვიდობო პროცესზე“, – ხაზგასმულია განცხადების პროექტში, რომელიც გაავრცელეს უშიშროების საბჭოს წევრთა შორის.**

საქართველოს მხარის მოქმედება გაეროს უშიშროების საბჭომ შეაფასა, როგორც პროვოკაციული და მოითხოვა, რომ მან თავი შეიკავოს ნებისმიერი ისეთი ნაბიჯისგან, რომელიც გამოიწვევს ვითარების დესტაბილიზაციას რეგიონში. უშიშროების საბჭოს განცხადების პროექტში ასევე ხაზგასმულია, რომ საქართველომ უნდა გამოიყვანოს ჯარები და სხვა სამხედრო ფორმირებები კოდორის ხეობიდან და დაუბრუნდეს მოსკოვში 1994 წლის 14 მაისს ხელმოწერილი კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გეგმის შესრულებას. როგორც გაეროს საიტზეა აღნიშნული, რუსეთმა 29 სექტემბერს მოითხოვა დახურული კონსულტაციის სასწრაფოდ მოწვევა, რომელზეც უნდა განიხილონ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის საკითხი. სხდომას უახლოეს მომავალში მოიწვევენ.

REGNUM

## სათქმელად მომდგარი სიტყვა

# სიძულვილის კოცონი

(მეშვიდე გვერდიდან)

ჯერ იყო და შენი მშობლიური მხარისაგან პარლამენტში წარგზავნილმა, შენივე მხარეში პირველი ბლიცტურნე გამორჩეული რეზულტატით მაშინ დაამგვირგვინე, აჭარის ტელევიზიიდან იქ ახალმოღვაწე კინოტელესაქმის პროფესიონალის, იმავე ზაზა ხალვაშის განდევნა რომ მოახერხე.

როგორც ამიხსნეს, ორივეჯერ მიზეზი ასლან-მეთაურის დროს „ალორძინებისათვის“ ნახევარწუთიანი კლიპის შექმნაში მისი რეჟისორული მონაწილეობაა. არადა, ის კლიპი არა პიროვნების, არამედ გაჭირვებიდან ქვეყნის ამოყვანის მქადაგებელია.

სხვათა შორის, არც ჰონორარი გაცემულა კლიპის ავტორზე, და, კიდევ უარესი, ნახვის შემდეგ, მას, ავტორს, კლიპით უკმაყოფილო „ხაზეინმა“, შეპირებული სამუშაოც აღარ მისცა.

მაგრამ ახლა აქ ერთი რამ ვთქვათ მე და შენ, ჩემო პარლამენტარო. ნახევარწუთიანი კლიპის გამო რომ ჯავრობ და ამდენს ხმაურობ, იმავე ხალვაშის ასოცწუთიანმა მხატვრულმა ფილმმა – „იქ, ჩემთან“, არც ისე დიდი ხანია, საფრანგეთის მონპელიეში, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ფესტივალზე, ერთ-ერთი პირველი პრიზი რომ დაიმსახურა, ნუთუ არც გაგაჯავრა, არც გაგახარა?!

ანდა, რატომ არავითარი ემოცია არ გამოიწვია შენში იმავე შენი თანაკუთხელის რეჟისორობით შექმნილი ტელესერიალი – „მგლების ხორუმი“, – პირველად ქართულ სინამდვილეში, ამერიკულმა კომპანიამ რომ შეიძინა და მსოფლიოს გააცნო (რა თქმა უნდა, თქვენ რომ ვარგოდეთ, ყოველივე ამაზე ახლა მე არ უნდა ვწერდე)?!

დიდი მონადინებით გიძებნია, ჩემო პარლამენტარო, წინანდელი პრეზიდენტის გადაყენების დღეებში, რუსთაველზე, მთავრობის სახლთან, აჭარიდან ჩამოსულთა მიტინგზე, ჩემი გამოსვლის ჩანაწერი, რათა ეს „ცოდვაც“, ჩვენთვის, მამაშვილისათვის, უკვე ერთად გადაგეფშვნა თავზე. აღარ შეწუხდე, ჩვენებურო, მე თავად მოგითხრობ ყველაფერს.

იმ დღეს, სრულიად სხვა საქმისათვის, თბილისის საპატიო მოქალაქეები შევიკრიბენით მერიაში. იქიდან, როგორღაც, ჯანსულ ჩარკვიანი და მე, ხალხით მოგუგუნე რუსთაველზე გავედით. ჩემს ცხოვრებაში პირველად დავინახე აჭარიდან თბილისის შუაგულში თავმოყრილი იმდენი ჩემიანი. თავიდან იქ არავის მივუწვევივარ, მაგრამ ქუჩაში ნაცნობი თანასოფლელები შემომეხვივნენ, იქნებ ლექსით გამოგვაჩინოთო. მართლაც, არა პრეზიდენტის ან ავტონომიის მეთაურის, არამედ ჩემი ხალხის გულის გასახარად ტრიბუნისკენ გავემართე.

– ამდენ ჩემიანს თბილისში ერთად პირველად გხედავთ, მეზობლებო! ჩვენს ერთად ყოფნას გაუმარჯოს! – ვთქვი და ის ჩემი ძველი ლექსი, დედაქალაქისადმი მიძღვნილი, წავიკითხე, სადაც ერთგან თბილისს ვეუბნები:

**... მე მარადიდში დამრჩა**
**მარჯვენა,**
**ხიხანის ციხედ ვიყავ ქცეული**
**და შენი სიტყვის გადასარჩენად**
**ილეწებოდა ჩემი სხეული.**

ჰოდა, წარმოიდგინე, ჩემო თანაკუთხელო პარლამენტარო, როგორც ახლა შენ მიჯავრდები, ასე გაჯავრებულა მაშინ „ავტონომიის მეთაურიც“, – ვინ დაუძახა და ვინ დაუთმო მაგას ჩვენი ტრიბუნაო. ხოლო მანამდე, რამდენიმე ხნით ადრე, მტკვართან, სანაპიროზე, მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნაზე, ასევე „მეთაურთან“ შეუთანხმებლად, მეც გამოვედი. მეგონა კაი ვქენი, მაგრამ... იმავე საღამოს, ერთ თბილისელ თანამოკალმესთან ერთად, ბათუმელი ჩემიანების მიერ გამართულ ვახშამზე, ბუნებრივია, მეც მივედი. მაგრამ (ამის გამხელა ახლაც მრცხვენია) რესტორნის კიბესთან ჩემი აჭარის მაშინდელი მთავრობის ხელმძღვანელმა ანთას ქიქავამ მკერდზე ხელი მომაბჯინა, – ვერ შეგიშვებ, თქვენ, ფრიდონ-ბატონო, „იმ სიაში“ არა ხართო.

შენ კი, ჩემი აჭარის მიერ პარლამენტში დღეს წარგზავნილი ჩემიანი, ბათუმის კარებთან დამდგარი, შენსავე სახლიკაცს თანაქალაქელებთან საყოფნელად არ უშვებ, რა განსხვავებაა (ჩემთვის) განდევნილ „მეთაურსა“ და შენს შორის?!

კი, ბატონო, მხარიც დამიჭერია „მეთაურისთვის“ ზოგიერთ წამოწყებაში. მაგალითად, თავისუფალ ეკონომიკურ ზონაზე ოცნებაში, რაზეც, ახლაც მგონია, უარი არ უნდა გვეთქვა. ის ფიქრები ლექსად ასხმულიც კი მას მივუძღვენი.

ვისაც მაშინ „მეთაურთან“ უთანამშრომლია, ყველა იმათ თუ გადაირჩევ, ახლანდელი პარლამენტის ხელმძღვანელთაგანნიც უნდა გაიმეტო. აგრეთვე ჩვენი ცოცხალი მწერლების ნახევარზე მეტი (მუხრან მაჭავარიანიდან რეზო მიშველაძემდე) და, წარმოიდგინე, მის მსახურებაში ნამყოფი მთელი აჭარაც სხვა ხალხით უნდა დავასახლოთ.

ასე რომ, გასული საუკუნის ოცდაჩვიდმეტისებურ ქვემძრომ-გამცემლურ ავკაცობას აყოლილნი თუ ისევ აშლიგინდებიან, დახოხოლებამდე მისული ეს ჩვენი საცოდავი მამულ-დედული, ალბათ, ველარ გაუძლებს.

შენ კი, თანაკუთხელო პარლამენტარო, შენიანებთან, შინაურობაში რომ მაგარბიჭობ, საკანონმდებლო დარბაზშიც ამოიღე ხმა ხანდახან. ხომ ხედავთ, რა ხდება განსაკუთრებით ჩვენს მთიანეთში. ჯამე-მინარეთებიდან ეზანთა გადაზუზუნებით ჩვენი ხეობების გავსება-გაჯერებულობამ, მგონი, ოსმალობისჟამინდელს გადააჭარბა. გაჭირვებული ზეგნელებისაგან სახლებს სამედრესეებად რომ ყიდულობენ, რატომ არ ჯავრობთ ამაზე?!

რატომ არ გაწუხებთ მეთამბაქოე-მეჩაიე-მეციტრუსეთა ბედი?! აგრარულ კომიტეტს, როგორც ვიცით, ჩვენი თანაკუთხელი ჩაუყენეს სათავეში. დიახაც ესიამოვნება მამულს და საქმესაც მოუხდება, თუ სწორედ აჭარის დეპუტაცია პარლამენტში ქართული სოფლის მეურნეობის გამოღვიძება-ამოქმედების უმძიმეს და უსაჭიროეს პრობლემას ცოტათი მაინც ადგილიდან წამოაყენებს.

ძმანო თანაკუთხელნო, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გაფუჭებამდე მიყვანილ ამბავსაც შესაძლოა სწორედ თქვენგან ხმის ამაღლება უფრო წაადგეს და უფრო გასაგებადაც გაიჟღეროს. ჩვენ ხომ რუსეთის როლმა (მის დამპყრობლურობა-განმათავისუფლებლობაზე არ ვმსჯელობ), საბოლოოდ, 120 წლის წინათ, დედა-საქართველოსთან დაგვაბრუნა.

ამ თემაზე ამიტომ აჭარის მკვიდრთაგან გაგონილი სწორი, აწონილი ეროვნული ხმა უკეთ იმუშავებს. არადა, ძმანო, გველუპება ქართული მიწის ბარაქა...

ბათუმი საქართველოს საზღვაო დედაქალაქი იყო. ახლა? ზღვა არის, გემი აღარ გვყავს. ვინ შეჭამა საქართველოს საზღვაო სანაოსნო? რატომ ხმას არ იღებთ?!

თანაკუთხელო პარლამენტარო, რაც შეეხება ზაზა და ფრიდონ ხალვაშებისაგან ბათუმის განთავისუფლებისათვის შენს (ისევ უნდა გითხრა) შემარცხვენელ ბრძოლას, გინდაც გაიმარჯვო, მას მაინც დამარცხებას დაუძახებენ, – ასე მგონია.

იყავი...

**ფრიდონ ხალვაში.**
**27.09.2006 წ.**

## თანადგომა

# სამ საუკუნეს შეუდგნენ მწრებით

## მეტი ყურადღება მივაქციოთ ადამიანებს, რომელთა ასაკი ზოგ ყვავსაც შეშურდებოდა



მარიამ სვანიძე, 108 წლის

**ყოველი წლის 1 ოქტომბრიდან შვიდ ოქტომბრამდე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მხარდაჭერითა და ინიციატივით, თითქმის ყველა ქვეყანაში ეწყობა ტრადიციული საერთაშორისო ღონისძიება: „ხანდაზმულთა დღე“.**

ხანდაზმულთა შორის კი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ დღეგრძელები, ანუ 90 წლის ასაკს გადაცილებული ადამიანები. საქართველოში (მოსახლეობის 2002 წლის აღწერით) 9417 დღეგრძელი ცხოვრობდა, მათ შორის 650 ასი და მეტი წლისანი არიან. ამ უკანასკნელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობენ „სამი საუკუნის“ ადამიანები, ანუ ისინი, ვინც მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში დაიბადა და დღესაც ცოცხალია. ასეთი საქართველოში დაახლოებით 60 ადამიანია. დღეს ორი მათგანი გვინდა გავაცნოთ ჩვენი გაზეთის მკითხველებს.

მარიამ ევგენის ასული სვანიძე დაიბადა 1889 წელს. იგი უკვე 108 წლისაა, ცხოვრობს თბილისში (გლდანის VI მიკრორაიონი, მე-17 კორპ., ბინა №12), ამჟამადაც, მიუხედავად ასაკისა, კარგად უვლის საკუთარ თავს. უსაქმოდ ჯდომა არ უყვარს. „ვისაც სურს, ჯანმრთელი იყოს, თავს კარგად გრძნობდეს და დიდხანს იცოცხლოს, მან უნდა იმოძრაოს, არ დაჯდეს უსაქმოდ, არ უნდა ჩამორჩეს ცხოვრების რიტმს“. – ასეთია ქალბატონ მარიამის კრედო.



ბაბლო ითონიშვილი, 113 წლის

მეორე ქალბატონი – ბაბლო მოსეს ასული ითონიშვილი, ამჟამად ცხოვრობს ქ. თბილისში, ქალიშვილთან (ზესტაფონის ქ. №19, ბინა 12). იგი დაიბადა 1893 წელს დაბა ყაზბეგში. ამჟამად 113 წლისაა. ახალგაზრდობიდანვე უყვარდა შრომა, სიმღერა, ცეკვა. მოხუცებულობის ასაკშიც შეინარჩუნა ეს თვისებები. „შრომის შემდეგ საჭმელი უფრო ტკბილია, დასვენება – სასიამოვნო, ძილი – მშვიდი“, ხშირად უყვარს ხოლმე ამის თქმა.

სამი საუკუნის დღეგრძელები მართლაც უნიკალური ადამიანები არიან. მათ მეცნიერები ადამიანის ფიზიოლოგიური დაბერებისა და სიცოცხლის მაქსიმალური ხანგრძლივობის ბუნებრივი მოდელის მნიშვნელობას ანიჭებენ. აღნიშნულის გამო დღეგრძელობის ფენომენის მეცნიერულ შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნაადრევი და ფიზიოლოგიური დაბერების პროცესების ბიოლოგიური საფუძვლების გარკვევაში, რეალური საშუალებების ძიებაში, ჯანსაღი და აქტიური ხანდაზმული სიცოცხლისთვის ბრძოლაში და გერონტოლოგიის სხვა მრავალი თეორიული და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაში.

შემთხვევით არ არის, რომ გაერო, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, გერონტოლოგთა საერთაშორისო ასოციაცია და მრავალი ქვეყნის მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ უხუცეს დღეგრძელთა და, საერთოდ, ხანდაზმულ პირთა მოვლისა და ჯანმრთელობის შენარჩუნების პრობლემებს, მათ მორალურ და სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერას.

XXI საუკუნის დასაწყისიდანვე, პირველმა, საქართველოს მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდმა, სპეციალური პროგრამით, გამოიკვლია 619 უხუცესი დღეგრძელი (100 და მეტი წლის). ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა:



ყაზბეგის მომღერალთა გუნდი. მეორე რიგში, მარჯვნიდან მეორე ბაბლო ითონიშვილი

– უხუცეს დღეგრძელთა აბსოლუტური რაოდენობა და მათი ხვედრითი წილი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში დიდად არ შემცირებულა. საქართველო მსოფლიოში კვლავაც დღეგრძელთა მაღალი დონის ქვეყნად რჩება.

– კვლევის შედეგებიდან ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ გამოკვლეულ უხუცეს დღეგრძელთა შორის სქესობრივი თანაფარდობა თვალსაჩინოდ გადახრილია ქალების სასარგებლოდ (91,4% ქალები, 8,6% მამაკაცები). ასევე შემცირდა ქალაქში მცხოვრებ უხუცეს დღეგრძელთა ხვედრითი წილი (ქალაქში მცხოვრებმა შეადგინა 9,0%. სოფლად – 91%).

– საქართველოში უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში შექმნილმა სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურმა კრიზისებმა უარყოფითი გავლენა იქონიეს უხუცეს დღეგრძელთა ჯანმრთელობის, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. უხუცეს დღეგრძელთა ოჯახის არც ერთ წევრს არა აქვს ქვეყანაში დადგენილი სასიცოცხლო მინიმუმის დონის შემოსავალი.

– მაღალი ღირებულების გამო უხუცეს დღეგრძელთათვის ხელმიუწვდომელია სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების მიღება, ძვირადღირებული მედიკამენტებისა და აპარატურის (სმენის, სამოძრაო და სხვ.) შეძენა. აღნიშნულის გამო უკანასკნელ ათწლეულში დღეგრძელთა შორის იმატა ფიზიკურად დაუძლურებულთა (49,4%), მრავლობითი პათოლოგიის მქონეთა (81%) და საწოლზე წლობით მიჯაჭვულთა ხვედრითმა წილმა (22,4%).

დღევანდელ ხელისუფლებას გადადგმული აქვს პირველი ნაბიჯები ამ კონტინგენტის მოსახლეობისთვის სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიმართულებით, კერძოდ: ხანდაზმულთათვის გაიხსნა ასობით უფასო სასადილო, ას წელს გადაცილებულ პირებს ყოველწლიურად ეძლევათ ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით, მათთვის უფასო გახდა სამედიცინო მომსახურების თითქმის ყველა სახეობა, ხშირ შემთხვევაში ლებულობენ თანხას ძვირადღირებული საპროთეზო მოწყობილობების შესაძენად და სხვა.

მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ამიტომაც მოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდი გთხოვთ სამინისტროებს, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელებს, ბიზნესმენებს, საქართველოს ყველა მოქალაქეს, მიიღოთ აქტიური მონაწილეობა ხანდაზმულთა კვირეულის მსვლელობაში, რათა გამოვხატოთ ჩვენი ღრმა პატივისცემა, გულთბილი ყურადღება და თავაზიანობა ამ ღვაწლმოსილი ადამიანების წინაშე.

**საქართველოს მოწყალებისა**
**და ჯანმრთელობის ფონდი**

***რედაქციისგან: ამ მასალაში ნახსენები ხანდაზმული ადამიანები მართლაც საყოველთაო ზრუნვისა და ყურადღების ღირსნი არიან. იმედია, ისინი ამას კონკრეტული საქმეებით იგრძნობენ ხელისუფლებისგანაც და ხალხისგანაც. ჩვენი გაზეთი კი მომავალი ნომრებიდან გარკვეული პერიოდულობით მოგითხრობთ ამ მრავლისმნახველი ადამიანების შესახებ.***

⊙ თარიღი

# „და წაიღე ჩემი წილი სიცოცხლე“

დღეს ცნობილ პოეტს, კარგ ქართველს, გულანთებულ პატრიოტს...

დავწერე ეს სიტყვები და, ვიდრე ქაღალდზე მორიგ ეპითეტს გამოვიყვანდი, არ ვიცი, მავანი მკითხველის შეძახილმა თუ შინაგანმა ხმამ თითქოს კალამი გამიშეშა: გეყო რა, შენ რომ არ ჩამოგვიწიკწიკო, ისედაც კარგად არ ვიცით, ვინ არის და რას წარმოადგენს, რა ეპითეტებსა თუ შეფასებებს და, საერთოდ, მთელი თავისი განვლილი ცხოვრებით, რას იმსახურებს ეს კაცი? ჰოდა, შეეშვი ამ უსარგებლო ჩალიჩს, მხოლოდ სახელითა და გვარით ახსენე, იმდენად გამორჩენილ-გამორჩეული პიროვნებაა, ახალი რა უნდა გვითხრა მის შესახებო.

რაც მართალია, მართალია!

ჰოდა, მეც პირდაპირ ვწერ ორ, მაგრამ მრავლისმეტყველ და მრავლისდამტევ სიტყვას – ჯანსულ ჩარკვიანი.

იგი, ეს დიდებული შემოქმედი და პიროვნება (მაინც წამძლია სულმა შეფასებაშიძ, დღეს 75 წლისა გახდა.

გულწრფელად და საუკეთესო სურვილებით ვულოცავ.

ისე კი, მართლაც, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, თუმცა საკმაოდ კარგად ვიცნობ, რა უნდა ვთქვა და ვუთხრა მასზე მკითხველებს ახალი, ისეთი, რითაც მისი პიროვნება ახლებურად წარმოჩნდება?

ბევრი, ალბათ, ვერაფერი, რადგან დღევანდელ იუბილარს არასოდეს უცხოვრია კარჩაკეტილად, საზოგადოებისგან იზოლირებულად, არასოდეს შეუქცევია ზურგი საქვეყნო სატკივარ-პრობლემებისთვის და მუდამ გამოკვეთილი, თანაც მხოლოდ პროქართული პოზიცია ჰქონია.

ამიტომაც გადავწყვიტე, მეცადა და თვით იუბილარისთვის გამომეტყუებინა თუნდაც რამდენიმე საინტერესო ეპიზოდი მისი ცხოვრება-შემოქმედებიდან.

აქაც გამიცუდდა „ნახტომი“: ასეო, ისეო, შენი დიდი ხათრი მაქვს, მაგრამ რაკი თუნდაც ვიწრო წრეში იუბილეს აღნიშვნაზე უარს ვამბობ, არც იუბილესწინა დიალოგი გვინდაო.

– მაინც რად ამბობთ უარს იუბილეს აღნიშვნაზე-მეთქი, – ფანჯრიდან დავაპირე შეძრომა კარიდან „გაგდებულმა“.



ჯანსულ ჩარკვიანი – 75

– რაკი არ მეშვებით, უწინარესად, დიდ მადლობას მოგახსენებთ გახსენებისა და სიყვარულისთვის.

რაც შეეხება იუბილეს, შეიძლება, ძალიან მკვახე ნათქვამად მოეჩვენოს ვინმეს, მაგრამ ახლა საამისოდ არც მე მაქვს განწყობა და არც – ხალხს. ხალხი პრაქტიკულად შიმშილობს, მკითხველი წიგნს ვეღარ ყიდულობს, უდანაშაულო ადამიანებით გაიტენა ციხეები, დემოკრატიას მისჯილი აქვს რამდენიმე წელი, ხელისუფლება ვერ მიტანს, დღესვე რომ მოვკვდე, დასამარხ მიწას არ მომცემენ... ჰოდა, რა მეზეიმ-მექეიფება? ვინ უნდა მომილოცოს? ან ვისი გულის გასახარად, ან ვის ჯინაზე უნდა ვიქეიფო?

**– ესე იგი, არ გექეიფებათ, მაგრამ მალე დადგებით ქეიფის ხასიათზე?**

– არა მგონია, მე დღეს 75 წლის გავხდი, რაღას უნდა მოვესწრო?

რაც მთავარია, ძალიან მიხარია, რომ, ჯანსულ ჩარკვიანი, ლუიზა ჩარკვიანი და ჯიმი ჩარკვიანი – სამივე დედმამიშვილი – ერთ დღეს, 30 სექტემბერს ვართ დაბადებულნი.

ერთ ძვირფასსა და ნათელ დღეს, მე და ჩემი ქალიშვილი თაკო უწმინდესთან ვართ სტუმრად, როცა ჩვენი 30 სექტემბრის საოცრება გავანდე, ჩაფიქრდა და შორენას დაუძახა, საქართველოს ეკლესიის კალენდარი მომიტანეო. მოგვიტანა.

– აბა, ერთი ჩავხედოთ, რა ხდება 30 სექტემბრს, – ბრძანა უწმინდესმა. გადავფურცლეთ და წავიკითხეთ: – 30 სექტემბერს, ახლით, დღე წმიდა მოწამე სოფიოსი და სამთა ასულთა მისთა – პისტი, ელპიდი და აღათისა, წმიდა აღათიაკლისი.

ცრემლი წამსკდა: თურმე, ჩვენ სამივე დედმამიშვილი ერთ დღეს, დედაჩვენის, პისტი გელოვანის დღეს ვართ დაბადებულნი, მაშ აღათი ვიღაა? აღათი ჩვენი ბებიაქალი გახლავთ. უფრო დიდი ზეიმი სად გაგონილა?

ჰოდა, ესაა ჩვენი დიდი ოჯახის მარადიული ზეიმი, ყველას თავისი სიცოცხლის წიგნი აქვს, ზოგი ეშმაკის დაწერილია, ზოგი – უფლისა, ჩემი ოჯახის სიცოცხლის წიგნი უფლიდან მოდის, სწორედ ესაა ჩემი და ჩემი ჯილაგის ზეიმი.

ცამდე აყვანილ გათამამებულთ ვაფრთხილებ – ხალხს მეცხრე ცამდე მხოლოდ იმიტომ აჰყავხარ, რომ საჭირო ჟამს ულირსებს ხელი გაგიშვათ.

მე მიწაზე ვარ, თავს ნორმალურად ვგრძნობ, 30 სექტემბერს ჩემს ძმასთან და რამდენიმე მეგობართან ერთად წავალ „შატილში“ და ლუდს დავლევ, მე ლუდით მხოლოდ კარგი ხალხის სადღეგრძელოს ვსვამ.

***„ვისაც ვუყვარვარ, მიყვარს,***
***და ვისაც ვძულვარ, არ მძულს“.***

**– იქნებ ერთი ახალი ლექსიც გვითხრათ....**

– კი, ბატონო, აი, ახალი ლექსი, რომელსაც „თხოვნა“ ჰქვია.

***აღარ ძალმიძს რქიანებთან***
***ჭიდილი,***
***თუმც სანამ ხარ, მოსვენებას***
***ვინ მოგცემს?***
***ღმერთო, მომეც ჩემი***
***წილი სიკვდილი,***
***და წაიღე ჩემი წილი სიცოცხლე.***

ესაუბრა
**აბო შელია**

⊙ გასტროლი



სცენა სპექტაკლიდან „ზღვა, რომელიც შორია“.

# დევნილი თეატრი ზუგდიდს სტუმრობდა

**ქართულ-აფხაზური ურთიერთობის ბოლო 15 წლის მონაკვეთი შავ ლაქად დარჩება ამ ორი მოძმე ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. ალბათ, ყოველივე ეს ღრმად ჩააფიქრებს მომავალ თაობებს და შეეცდებიან, არ გაიმეორონ წინაპართა შეცდომები.**

ბუნებრივია, არც დღევანდელი თაობა რჩება სათანადო განსჯისა და ანალიზის გარეშე, რათა ურთიერთგაუცხოების დრო-ჟამი კიდევ უფრო არ გაიწელოს და სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათი არ მიიღოს. ამ მტკივნეულ თემას შეეხო ცნობილი ქართველი მწერალი გურამ ოდიშარია, რომლის პიესაში – „ზღვა, რომელიც შორია“ ფართო ასახვა ჰპოვა ძმათა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებამ. პიესის მთავარი გმირების აფხაზ ასტამურსა და ქართველ ზურაბს შორის გამართულ დიალოგში ნათლად ჩანს ის დიდი ტრაგიზმი, რასაც ჯეროვნად ადასტურებს მეგობრებს შორის დაღვრილი სისხლიც.

სპექტაკლის მოტივი ოპტიმიზმია. თუმცა უფროს-უმცროსობაში, მტყუან-მართლის გარკვევაში დრო მიქრის და ორი მოძმე ხალხი სულიერად იცლება და ფიზიკურად ცვდება მესამე ძალის სასარგებლოდ.

ახლახან ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის სცენაზე სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის დევნილი თეატრის კოლექტივმა წარმოადგინა ეს სპექტაკლი თემურ ჩხეიძის დადგმით.

ზუგდიდელმა მაყურებელმა სევდანარევი მღელვარებითა და მოწონებით მიიღო წარმოდგენა. საგულისხმოა, რომ სპექტაკლში აფხაზი ქალბატონის – საიდას როლს ასახიერებდა მსახიობი ლილი ხურითი, რომელმაც მაყურებელთა ოვაცია დაიმსახურა. ზურაბისა და ასტამურის როლები შეასრულეს დიმა ჯაიანმა და მერაბ ბრეკაშვილმა.

სპექტაკლის შემდეგ გაიმართა მაყურებლებისა და მსახიობთა დიალოგი, სადაც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და დირექტორმა დიმიტრი ჯაიანმა, მსახიობმა ნუგზარ წერედიანმა და პიესის ავტორმა გურამ ოდიშარიამ უპასუხეს მაყურებელთა შეკითხვებს. სიტყვით გამოსულმა მაყურებლებმა მადლობა გადაუხადეს პიესის ავტორსა და თეატრის მთელ შემოქმედებით კოლექტივს.

ზუგდიდელები, როგორც იტყვიან, კოლხურად მოეფერნენ დევნილ მსახიობებს და ახლო მომავალში სოხუმში უპირობო დაბრუნება უსურვეს.

**ოდიკ ქუხილავა,**
**„სრ“ საკ. კორ.**

⊙ თეატრი

# „მეორე სახლი“

**ასე ჰქვია საბავშვო თეატრს (დირექტორი ირმა კვარაცხელია, რეჟისორები – როლანდ ქარდავა და ლაშა მესხიძ, რომლის გახსნასაც ორი წლის წინათ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც დაესწრო.**

როგორც ბატონმა როლანდ ქარდავამ გვითხრა, თეატრი 1997 წელს ჩამოყალიბებული სტუდიის ბაზაზე დაფუძნდა და ნორჩ მაყურებელს დღემდე 11 სპექტაკლი წარუდგინა. მათგან ორმა („მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ძ ბავშვთა ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ბორჯომის თეატრალურ ფესტივალებში გაიმარჯვა.



საგულისხმოა, რომ „მეორე სახლთან“ არსებულ სტუდიაში სწავლება, ფაქტობრივად, იმავე პროგრამით მიმდინარეობს, როგორც ეს თეატრალურ უნივერსიტეტშია, ანუ მოზარდები აქ მეტყველებას, მსახიობის ოსტატობას, ვოკალს თუ სხვა საიდუმლოებას ეუფლებიან. ოთხწლიანი სწავლების შემდეგ ნორჩი მსახიობები ჟიურის მკაცრ მოთხოვნებს თუ დააკმაყოფილებენ, მათ თეატრის დასში ტოვებენ. აღსანიშნავია ისიც, რომ სტუდიის ოთხი აღზრდილი თეატრალურ უნივერსიტეტში ეუფლება სამსახიობო ხელოვნებას.

**6. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
– უმაღლესი განათლება;
– სასურველია სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის გამოცდილება;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა:
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონები;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**7. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მთავარი მენეჯერის თანამდებობაზე:**
– უმაღლესი განათლება;
– სასურველია სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის გამოცდილება;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა:
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონები;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**8. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის წამყვანი მენეჯერის თანამდებობაზე:**
– უმაღლესი განათლება;
– სასურველია სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის გამოცდილება;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა:
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონები;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**9. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის მენეჯერის თანამდებობაზე:**
– უმაღლესი განათლება;
– სასურველია სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის გამოცდილება;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა:
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონები;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**10. თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის სპეციალისტის თანამდებობაზე:**
– უმაღლესი განათლება;
– სასურველია სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის გამოცდილება;
– სასურველია უცხო ენის ცოდნა:
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონები;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

## IX. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტი

**1. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსი** – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1350 ლარი);

**2. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი** – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 1100 ლარი);

**3. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი** – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);

**4. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი** – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);

**5. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის დაგეგმვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი** – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);

**6. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის დაგეგმვის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტი** – 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);

**7. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს ადამიანური რესურსების პოლიტიკის განყოფილების უფროსი** – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 900 ლარი

**8. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს ადამიანური რესურსების პოლიტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტი** – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 700 ლარი);

**9. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს ადამიანური რესურსების პოლიტიკის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი** – 1 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო 650 ლარი);

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**1. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე:**
– უმაღლესი განათლება (საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო ურთიერთობები; სახელმწიფო მართვა; პოლიტოლოგიური ან ისტორიული);
– სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი;
– პროექტების ფორმულირებისა და განხორციელების უნარი;
– ინგლისური ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ", „საქართველოს თავდაცვის შესახებ" „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ" საქართველოს კანონები.
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**სასურველია:**
– სამხედრო პოლიტიკური სფეროს ცოდნა (შეფასების, ანალიზის გადმოცემის და ა.შ. უნარი);
– სისტემური და სტრატეგიული ანალიზის უნარი;

**2. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე:**
– უმაღლესი განათლება (საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო ურთიერთობები; სახელმწიფო მართვა; პოლიტოლოგიური ან ისტორიული);
– სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი;
– პროექტების ფორმულირებისა და განხორციელების უნარი;
– ინგლისური ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ", „საქართველოს თავდაცვის შესახებ" „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ" საქართველოს კანონები;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**სასურველია:**
– სამხედრო პოლიტიკური სფეროს ცოდნა (შეფასების, ანალიზის გადმოცემის და ა.შ. უნარი);
– სისტემური და სტრატეგიული ანალიზის უნარი.

**3. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
– უმაღლესი განათლება (საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო ურთიერთობები; სახელმწიფო მართვა; პოლიტოლოგიური ან ისტორიული);
– სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი;
– დოკუმენტებთან მუშაობის გამოცდილება;
– ინგლისური ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ", „საქართველოს თავდაცვის შესახებ" „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ" საქართველოს კანონები;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**სასურველია:**
– სამხედრო პოლიტიკური სფეროს ცოდნა;
– სისტემური და სტრატეგიული ანალიზის უნარი;

**4. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე;**
– უმაღლესი განათლება (საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო ურთიერთობები; სახელმწიფო მართვა; პოლიტოლოგიური ან ისტორიული);
– სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი;
– დოკუმენტებთან მუშაობის გამოცდილება;
– ინგლისური ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ", „საქართველოს თავდაცვის შესახებ" „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ" საქართველოს კანონები;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**სასურველია:**
– სამხედრო პოლიტიკური სფეროს ცოდნა;
– სისტემური და სტრატეგიული ანალიზის უნარი;

**5. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის დაგეგმვის სამმართველოს წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე:**
– უმაღლესი განათლება (ეკონომიკა; საინფორმაციო ტექნოლოგიები, იურიდიული პოლიტოლოგია ან სახელმწიფოს მართვა;
– სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი;
– დოკუმენტებთან მუშაობის გამოცდილება;
– ინგლისური ენის ცოდნა;
– სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ", „საქართველოს თავდაცვის შესახებ" „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ" საქართველოს კანონები;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**6. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს ადამიანური რესურსების პოლიტიკის განყოფილების უფროსის თანამდებობაზე:**
– უმაღლესი განათლება (საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო ურთიერთობები; სახელმწიფო მართვა; პოლიტოლოგიური იურიდიული ან ისტორიული;
– სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი;
– პროექტების ფოლმურილების და განხორციელების უნარი;
– ინგლისური ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ", „საქართველოს თავდაცვის შესახებ" „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ" საქართველოს კანონები;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**7. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს ადამიანური რესურსების პოლიტიკის განყოფილების მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე;**
– უმაღლესი განათლება (საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო ურთიერთობები; სახელმწიფო მართვა; პოლიტოლოგიური იურიდიული ან ისტორიული;
– სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის არანაკლებ 2 წლის სტაჟი;
– დოკუმენტებთან მუშაობის გამოცდილება;
– ინგლისური ენის ცოდნა;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ", „საქართველოს თავდაცვის შესახებ" „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ" საქართველოს კანონები;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**8. თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმვის დეპარტამენტის თავდაცვის პოლიტიკის სამმართველოს ადამიანური რესურსების პოლიტიკის განყოფილების წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე;**
– უმაღლესი განათლება (საერთაშორისო სამართალი; საერთაშორისო ურთიერთობები; სახელმწიფო მართვა; პოლიტოლოგიური იურიდიული ან ისტორიული;
– დოკუმენტებთან მუშაობის გამოცდილება;
– ინგლისური ენის ცოდნა;
– სპეციალობით/კვალიფიკაციით მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი;
– შემდეგი კანონმდებლობის ცოდნა: საქართველოს კონსტიტუცია, „საჯარო სამსახურის შესახებ", „საქართველოს თავდაცვის შესახებ" „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ" საქართველოს კანონები;
– კომპიუტერის ძირითადი საოფისე პროგრამების ცოდნა.

**კონკურსის პირობები:**

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ – კონკურსი) ყველასათვის უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს.

კონკურსში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებმა, დაკავებული სახელმწიფო თანამდებობის მიუხედავად, ისე – პირებმა, რომლებიც არ იმყოფებიან სახელმწიფო სამსახურში, არიან საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქეები, ფლობენ საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვთ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისათვის შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. კანონის შესაბამისად, მისაღები კანდიდატების ასაკი განსაზღვრულია 21-დან 65 წლამდე.

კონკურსს ატარებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში, წერილობით განცხადებასთან ერთად, უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:**
1. ავტობიოგრაფია;
2. ორი ფოტოსურათი;
3. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობა;
4. უკვე გაცემული შრომის წიგნაკი;
5. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

საბუთების მიღება განხორციელდება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში განცხადების გამოქვეყნების დღიდან ორი კვირის განმავლობაში შაბათ-კვირის გარდა.

კონკურსი მოეწყობა განცხადების გამოქვეყნების დღიდან არა უადრეს სამი კვირის შემდეგ.

კონკურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, გამარჯვებულმა ორ კვირაში უნდა წარმოადგინოს დამატებითი საბუთები („საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად).

**დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქ. №20. ტელ: 912095**

**საჯარო სამსახურის ბიურო**

◉ ორბიტაზე

## „სატუალეტო სკანდალი“

**გუშინწინ, როდესაც ჭადრაკში მსოფლიო პირველობისთვის მატჩის მონაწილენი — ფიდეს მსოფლიო ჩემპიონი, ბულგარელი ვესელინ ტოპალოვი და მსოფლიო ჩემპიონი კლასიკურ ჭადრაკში, რუსეთელი ვლადიმერ კრამნიკი 4 პარტიის შემდეგ ისვენებდნენ (ანგარიშია 3:1 კრამნიკის სასარგებლოდ), ბულგარეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა სილვიო დანაილოვმა გაავრცელა წერილი. მასში ნათქვამია, რომ „ყოველი თავის სვლის შემდეგ კრამნიკი დაუყოვნებლივ მიეშურება დასვენების ოთახისკენ და შედის ტუალეტში. ყოველი პარტიის ჩარჩოებში ის საშუალოდ 25-ჯერ გადიოდა დასვენების ოთახში და 50-ჯერ შედიოდა ტუალეტში...“**

პროტესტი მთავრდება მოთხოვნით, რომ ორივე დიდოსტატს აეკრძალოს დასვენების ოთახისა და ტუალეტების გამოყენება. აუცილებლობის შემთხვევაში მთავარი მსაჯის თანხმობით და მისი თანაშემწის თანხლებით მათ უნდა გამოიყენონ საზოგადოებრივი ტუალეტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბულგარელი მოჭადრაკე დააყენებს მატჩში შემდგომი მონაწილეობის შესაძლებლობის საკითხს.

ეს პროტესტი მატჩის მთავარი მსაჯის გერტ ჰეისენის მონაწილეობით უნდა განიხილოს სააპელაციო კომიტეტმა, რომლის შემადგენლობაში არიან ფიდეს პირველი ვიცე-პრეზიდენტი გიორგიოს



მაკრაპულოსი, ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ აზმაიფარაშვილი და ამერიკის კონტინენტური პრეზიდენტი ხორხე ვეგა. საბოლოო ვადად კი გუშინდელი დღე იყო დათქმული.

## მამაკაცებში წარმატებული

**ცნობილი იტალიელი მოდელი, ტელეწამყვანი და ლამაზმანი ელიზა დელა ვალენტინა ფეხბურთელებთან შეხვედრას ამჯობინებს.** 21 წლის ქალიშვილის აზრით, მხოლოდ მათ შეუძლიათ მისი გაბედნიერება. „თავის დროზე მე ვხვდებოდი ორ ფეხბურთელს, რომლებსაც არ დაგისახელებთ. მათთან თავი ნამდვილ ქალად ვიგრძენი“.



◉ ოფსაიდი

# „...თუ პარტია დამავალებს?!“

**გუშინ დილით დამარცხებული ხალხის „გამარჯვებული ტელევიზიის“ ეთერით გადმოცემული საინფორმაციო გამოშვების ერთ-ერთმა სიუჟეტმა, რბილად რომ ვთქვათ, გამაოცა და, ვფიქრობ, არა მარტო მე — მაშინ, როცა ჩინეთის ქალაქ გუანჯოუში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველ ფალავნებს მსაჯები ზედიზედ უდებდნენ კვანტს, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, პარლამენტარი კახა გეწაძე ილეთებს ბათუმის „ნაცმოძრაობის“ ოფისში შეჭრის უშედეგოდ მსურველ რესპუბლიკელთა და კონსერვატორთა წინააღმდეგ იყენებდა.**



კახა გეწაძე

ჩვენი სპორტული სამყარო კარგა ხანია წუწუნებს, ამა თუ იმ ფორუმებზე თემიდის მსახურნი იმიტომ გვჩაგრავენ, ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციაში „ჩვენი კაცი“ რომ არ გვყავსო. ვერაფერს იტყვი — არც უმაგისობაა, მაგრამ როდესაც ისიც კი, ვისაც უშუალოდ ევალება ეროვნული დელეგაციის გაძღოლა და „პატრონობა“, სამშობლოში რჩება და ემოციებსა და ჯანღონეს წინასაარჩევნო ბატალიებს ახარჯავს, ამიტომ ნუღარ გავიკვირვებთ უცხოტომელთაგან ფარსაგს.

აქვე ისიც ვიკითხოთ — გინდაც გაყოლოდა ვიწროპარტიულ ინტერესებს გადაყოლილი თავკაცი ჩვენს გუნდს — აქვს კი მას იმდენი საერთაშორისო ავტორიტეტი, თანამემამულენი „შაოსანთა“ ოინებისგან რომ დაეცვა?

დამეთანხმებით, პასუხი ერთმნიშვნელოვნად უარყოფითია.

**მეტიც, ჩემი ღრმა რწმენით, კურიოზია, რომ იმ ქვეყანაში, რომელმაც ციმაკურიძე, კარტოზია, ბალავაძე, საღარაძე, რურუა, თედიაშვილი და ხაბელოვი გამოზარდა, საჭიდაო ოჯახში კახა გეწაძე პირველკაცობდეს.**

დაბოლოს, —ახლახან, როცა საქმემ მოითხოვა, თბილისის მერობის კანდიდატმა გოგი თოფაძემ არამარტო დედაქალაქი, საქართველოც კი დატოვა რამდენიმე დღით და, სწორედ საერთო საქმეებისვე ინტერესების გათვალისწინებით, ამბიციებზე ამაღლდა.

სწორედ ამის გათვალისწინებით, თუნდაც მართლაც შეუცვლელი რომ ყოფილიყავით ზღვისპირელ თანაპარტიელთათვის, მაინც ჩნდება, ჩემი აზრით, არცთუ უსაფუძვლო კითხვა: უფრო სად უნდა ყოფილიყავით, ბათუმში თუ მომავალი ოლიმპიური თამაშების მასპინძელ სახელმწიფოში?

აქვე ერთ საკითხსაც მინდა შევეხო. როდესაც ჩვენმა ჩრდილოელმა „მოკეთეებმა“ რუსეთში შესასვლელი ვიზა არ მოგცეს და ჩვენი მოჭიდავეები იქ მიმდინარე საჭიდაო ფორუმზე „დაობლებულნი“ გაემგზავრნენ, მე, ისევე როგორც არაერთი ქართველი, გულწრფელად გითანაგრძნობდით.

ახლა რატომღა დარჩით „ოფსაიდში?“

ამჟამად ხომ არავის უთქვამს თქვენთვის უარი ჩინეთის ვიზაზე?

თუ იმ არცთუ შორეული „საამური“ პერიოდის ცნობილი სტრიქონებისა არ იყოს, ახლაც — „დედას მოვკლავ, მამას მოვკლავ, თუ პარტია დამავალებს?!“

თუ მართლაც ასეა, კარგად ყოფილა ჩვენი საქმე ზოგადად, ხოლო თუ ასე არ არის, და საკუთარი ინიციატივით აღმოჩნდით ბათუმში მაგანჯოუს ნაცვლად, მაშინ ჭიდაობის საქმე დაღუპულია ჩვენში.

**გია პლატონიშვილი**

◉ ჭიდაობა

# ისევ „ორიანი“



გიორგი გოგშელიძე

**ზოგი ქვეყნის დელეგაციას ერთი მედალი ენატრება, ჩვენ კი ჩინეთის ქალაქ გუანჯოუში დასრულებულ მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ერთბაშად ოთხი „ვერცხლი“ და ერთი „ბრინჯაო“ გვხვდა წილად, თუმცა მაინც უკმარისობის გრძნობა დაგვრჩა. რას იზამ, ასე იცის სასახელო ტრადიციებმა და მას ვერსად წავუვალთ.**

„ვერცხლის ეპიდემიას“ გუშინ თავისუფალი სტილით მოჭიდავე გიორგი გოგშელიძემ (96 კგძ დაუსვა წერტილი, რომელსაც უმაღლესი სინჯის ჯილდო რუსეთის სახელით უკვე დაგემოვნებული აქვს. ამჯერად ფინალისაკენ პირველი ნაბიჯი სამშობლოში დაბრუნებულმა ფალავანმა სლოვაკი ნორბერტ ბოდორის ძლევით გადადგა, შემდეგ თვით სწორუპოვარი თურქი ალირეზა ჰეიდარი ჩამოაშორა ტურნირს, დანარჩენ მეტოქეებსაც ღირსეულად გაუსწორდა და გადამწყვეტი დუელი ძველ ნაცნობთან — რუსეთელ ხაჯიმურატ გაცალოვთან მოუწია.

ჩვენმა უკანასკნელმა იმედმა წარმატებით დაიწყო ბრძოლა და პირველი პერიოდის მოგებით (1:0ძ დაწინაურდა კიდეც, მაგრამ, როგორც ჩანს, მთლად ოპტიმალური კონდიციები არ ჰქონდა აკრეფილი — მეორე ნახევრის მიწურულს მოწინააღმდეგეს უწყინარ სიტუაციაში უფეშქაშა მომგებიანი ქულა (0:1ძ, დამატებით პერიოდში კი ისე დაიღალა, რომ, უბრალოდ, ხალიჩაზე გადაადგილება უჭირდა — 0:4.

რაც შეეხება ერთ დროს ძლემოუხრელ ლუკა კურტანიძეს (120 კგძ, მან კიდევ ერთხელ გაგვაწბილა, თუმცა ვიმედოვნებთ ცხოვრების უმთავრეს მიზანს — ოლიმპიურ „ოქროს“ — იგი ორი წლის შემდეგ სწორედ ჩინეთში, კერძოდ, პეკინში მიაღწევს.

გუშინ ბერძენ იოანის პაპადოპულოსთან მოპოვებული სასტარტო გამარჯვების შემდეგ სოხუმელი ფალავანი ამერიკელ ტოლი ტომპსონთან დამარცხდა.

◉ უეფას თასი

# მხოლოდ შედეგები

**პირველი რაუნდი. საპასუხო მატჩები. „ოდენსე“**-„ჰერტა“ 1:0 (2:2ძ, **„ბოლესლავი“**-„მარსელი“ 4:2 (0:1ძ, **„ლანსი“**-„ეთნიკოსი“ 3:1 (0:0ძ, **„ნანსი“**-„შალკე“ 3:1 (0:1ძ, „ბრონდბიუ“-**„აინტრახტი“** 2:2 (0:4ძ, **„ჰაპოელი“**-„ჩერნომორეცი“ 3:1 (1:0ძ, **„პარმა“**-„რუბინი“ 1:0 (1:0ძ, ცსკა (სოფიაძ-**„ბეშიქთაში“** 2:2 (დ.დ., 0:2ძ, „პაშინგი“-**„ლივორნო“** 0:1 (0:2ძ, **„ჰერენვეენი“**-„სეტუბალი“ 0:0 (3:0ძ, **„დინამო“** (ბუქარესტიძ-„ქსანთი“ 4:1 (4:3ძ, „ქაისერი“-**„ალკმაარი“** 1:1 (2:3ძ, **„ვარეგემი“**-„ლოკომოტივი“ (მოსკოვიძ 2:0 (1:2ძ, **„ოსერი“**-„დინამო“ (ზაგრებიძ 3:1 (2:1ძ, „ლიტექსი“-**„მაკაბი“** 1:3 (1:1ძ, **„გრასხოპერსი“**-„ატვიდაბერგი“ 5:0 (3:0ძ, „რაბოტნიჩკი“-**„ბაზელი“** 0:1 (2:6ძ, **„ბრიუგე“**-„რუჟემბეროკი“ 1:1 (1:0ძ, **„ფეიენოორდი“**-„ლოკომოტივი“ (სოფიაძ 0:0 (2:2ძ, „გრონინგენი“-**„პარტიზანი“** 1:0 (2:4ძ, „ცრვენა ზვეზდა“-**„ლიბერეცი“** 1:2 (0:2ძ, „მეტალურგი“-**„პანათინაიკოსი“** 0:1 (1:1ძ, **„ლევერკუზენი“**-„სიონი“ 3:1 (0:0ძ, **„ნიუკასლი“**-„ლევადია“ 2:1 (1:0ძ, „რანდერსი“-**„ფენერბახჩე“** 0:3 (1:2ძ, **„აიაქსი“**-„სტარტი“ 4:0 (5:2ძ, „ირაკლისი“-**„ვისლა“** 0:2 (დ.დ., 1:0ძ, **„აუსტრია“**-„ლეგია“ 1:0 (1:1ძ, **„ბლექბერნი“**-„ზალცბურგი“ 2:0 (2:2ძ, „კიევო“-**„ბრაგა“** 2:1 (დ. დ., 0:2ძ, **„ოსასუნა“**-„ტრაბზონი“ 0:0 (2:2ძ, **„პალერმო“**-„ვესტ ჰემი“ 3:0 (1:0ძ, **„სელტა“**-„სტანდარდი“ 3:0 (1:0ძ, **„რეინჯერსი“**-„მოლდე“ 2:0 (0:0ძ, „ნასიონალი“-**„რაპიდი“** (ბუქარესტიძ 1:2 (დ.დ., 0:1ძ, **„პარი სენ-ჟერმენი“**-„დერი სიტი“ 2:0 (0:0ძ, **„სპარტა“**-„ჰართსი“ 0:0 (2:0ძ, **„ტოტენჰემი“**-„სლავია“ 1:0 (1:0ძ, **„ესპანიოლი“**-„პეტრჟალკა“ 3:1 (2:2ძ, **„სევილია“**-„ატრომიტოსი“ 4:0 (2:1ძ.



◉ დაფასება

# ცაავა ისევ ფეხბურთით ცოცხლობს

**ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირისა და მისი ხელმძღვანელის — იროდი ბეჟაშვილის ინიციატივით მრავალი საინტერესო ღონისძიება გაიმართა, რომელთა მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, მოსახლეობის ფართო ფენებში ჯანმრთელობის განმტკიცება და, რაც მთავარია, სახელოვან სპორტსმენთა გახსენება.**



სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა სპორტკომპლექს „ქარიშხალაში“ ჩატარებული სამინისტროებისა და სახელმწიფო დაწესებულებების მინიფეხბურთელთა ტურნირი თბილისის „დინამოს“ სახელოვანი ნახევარმცველის, ღირსეული მამულიშვილის გრიგოლ ცაავას სახელობის თასზე.



სოხუმში დაბადებულმა და გაზრდილმა ტყავის ბურთის ოსტატმა „დინამოს“ რიგებში ათი წელიწადი გაატარა (ერთი წელიწადი ლანჩხუთის „გურიას“ ღირსებას იცავდაძ და საკავშირო ჩემპიონატების მატჩებში 50-მდე გოლი გაიტანა. გრიგოლ ცაავა ლამაზი თამაშით ათიათასობით გულშემატკივარს ხიბლავდა შინ და გარეთ. ვინ იცის, მის ეფექტურ გოლებს რამდენჯერ აღუფრთოვანებია ქომაგები. გამუდმებულმა ტრავმებმა არ მისცა საშუალება, უფრო ლაღად გაეშალა ფრთები. მართალია, აქტიურ სპორტს კარგა ხანია ჩამოშორდა, მაგრამ ბავშვობის გატაცებისთვის ზურგი არასდროს უცქევია — იგი დღესაც ფეხბურთით ცოცხლობს...

საქართველოს სპორტისა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის ერთობლივი თაოსნობით გამართულ გრიგოლ ცაავას სახელობის ტურნირში 7 სამინისტროს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. წრიული შეხვედრების შემდეგ ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ. გუშინ კი ფინალური ორთაბრძოლა გაიმართა. შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდმა (ლევან გვაზავა, ირაკლი ფირცხალავა, თორნიკე მუშკუდიანი, გიორგი მუშკუდიანი, ლევან კვიციანი, გოდერძი ნატროშვილი, კობა ჩადუნელი, ლევან შალვაშვილი, გიორგი ჩაჩუა, გიორგი ქადაგიძე, მიხეილ მაისურაძე, გიორგი მჭედლიშვილი, ჯაბა მაღლაფერიძეძ დაძაბულ პაექრობაში 3:1 სძლია იუსტიციის სამინისტროს ფეხბურთელებს და მთავარი პრიზი მოიპოვა. მესამე ადგილი მთავრობის კანცელარიის გუნდს ხვდა.

გამარჯვებულები და პრიზიორები, ასევე, საუკეთესო ფეხბურთელები იროდი ბეჟაშვილმა და ცნობილმა ფეხბურთელებმა — გრიგოლ ცაავამ, გიორგი ნემსაძემ, რევაზ არველაძემ, გოჩა ჯამარაულმა, ვაჟა ჟვანიამ, ოთარ კორღალიძემ და დავით მუჯირმა დააჯილდოვეს.

შეჯიბრების დღეებში „ქარიშხალას“ ტრიბუნებს გულშემატკივრები არ მოჰკლებია. ეს კი იმის დასტურია, რომ ქომაგებს ახსოვთ გრიგოლ ცაავას თამაში და ტყავის ბურთის ოსტატს პატივს სცემენ და აფასებენ.

**ვაჟა დანელია**

◉ დარბაზბურთი

## იქნებ ბრაზილიელებმა გვახეირონ



**12 ოქტომბერს ჩეხეთის ქალაქ ოსტრავაში იწყება ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი დარბაზბურთში, სადაც საქართველოს საუკეთესო კლუბი „იბერიაც“ (მთავარი მწვრთნელი – ბრაზილიელი მარსელო დე ამარალი) იასპარეზებს. მისი მეტოქენი ადგილობრივი „ჟისტებნიკი“, ბელორუსიის „დოროჟნიკი“ და ლატვიის „ნაფტა“ იქნებიან.** სასტარტო მატჩს ოთხი ბრაზილიელი მოთამაშით გაძლიერებული თბილისელები მასპინძლებთან გამართავენ, მეორე ჯგუფური რაუნდის საგზურს კი ამ კვარტეტიდან მხოლოდ საუკეთესო გუნდი მოიპოვებს. სხვათა შორის, დეკემბერში დანიშნული ბატალიების ორგანიზატორობის ამბიცია საქართველოს დედაქალაქსაც გააჩნია – ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ბიჭები ჩეხეთიდან წარმატებით დაგვიბრუნდებიან.

◉ ძიუდო

## პრეზიდენტის თასზე



**დღეს და ხვალ თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტ გოგონათა საერთაშორისო ტურნირი გაიმართება საქართველოს პრეზიდენტის თასზე, რომელშიც 10 ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ. მათ შორის, ცხადია, მასპინძლებიც იქნებიან.**

**ორთაბრძოლები 10 საათზე დაიწყება. დასწრება უფასოა.**

◉ ჩოგბურთი

## მომავალი მეტოქე – პორტუგალია



**გულშემატკივრებმა იციან, რომ საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრები უნგრელთა ძლევით ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში აღზევდა.** აქ, ცხადია, გაცილებით ძლიერი მეტოქეები ელის მას. დევისის თასის 2007 წლის სეზონის წილისყრამ მეტოქედ პორტუგალია შეგვახვედრა. საბედნიეროდ, პირველი წრის შეხვედრას შინ 9-11 თებერვალს გავმართავთ, სავარაუდოდ, ალბათ, თბილისის სპორტის სასახლეში. წარმატების შემთხვევაში, მეორე წრეში საქართველოს ნაკრები სერბეთს შეხვდება. თუ სად, ამას წილისყრა გაარკვევს.

◉ ქალთა ფეხბურთი

## რაც არაა ჩვენი საქმე



**ქართველებს ნერვიულობა და იმედგაცრუება გვაკლია? სამწუხარო ის გახლავთ, რომ სათანადო დასკვნების გამოტანის ნაცვლად, სახსრებსა და ემოციებს მაინც ჯიუტად ვანიავებთ იქ, სადაც წინასწარ ვიცით, რომ განწირულნი ვართ და მორიგი შერცხვენა გველის.**

ამჯერად თავმოყვარეობა 19-წლამდე ასაკის ეროვნული ნაკრების (მწვრთნელი მაია ჯაფარიძე) გოგონებმა შეგვილახეს, რომლებიც მაკედონიის ქალაქ სტრემიცაში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე „თამაშობენ“.

„ჯვაროსნებმა“ უკვე ორი „ბრძოლა“ დათმეს – 0:10 (!) ავსტრიასთან და 0:18 (!!!) თანატოლთა შორის მსოფლიო ჩემპიონ გერმანიასთან.

ჩვენი თანამემამულენი დასკვნით შეხვედრას მათსავით წყალწაღებულ მასპინძლებთან გამართავენ.

◉ ჩვენებურები

# ჩემი საქართველო აქ არის...

### „ჩვენ არც ისე ბევრნი ვართ, ერთმანეთს ხმა რომ ვერ მივაწვდინოთ“

**შემოდგომის თბილისში ფესტივალ „ჩვენებურების“ ეთნოკულტურული დღეები დაიწყო... „ჩვენ არც ისე ბევრნი ვართ, ერთმანეთს ხმა რომ ვერ მივაწვდინოთ“ – ამ სიმბოლურმა გადაძახილმა ქართველი ემიგრანტები სამშობლოში ისევ ჩამოიყვანა, მრავალხმიანობაში ჩაქსოვილ იბერთა ეპოქალურ აზროვნებასა და ერთსულოვნებაზე ამაყად აალაპარაკა... ამ სახალხო დღესასწაულში მონაწილეობს უმთავრესად ახალგაზრდა თაობა, სამშობლოდან სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა მიზეზით წასული ქართველობა, რომელთაც ევროპულ საზოგადოებაში დასამკვიდრებლად გაიარეს გარდაუვალი ეტაპი – კულტურული შოკიდან ინტეგრაციამდე. და მაინც, რამდენად ძლიერია ჩვენებურების უცხო მიწაზე სულიერი ერთადმყოფობა? რაზე მიგვანიშნებენ მათი სევდიანი განცდები სამშობლოს გაუცხოებასა და ეროვნული ენის დავიწყების პრობლემასთან მიმართებაში?**

მილიონ ორასი ათასი გაექცა საქართველოს... ალბათ აქედან ნახევარი მაინც დაბრუნდება, მაგრამ როდის? ამბობენ, დრო სჭირდება მათ დაბრუნებას, მაგრამ ეს დრო რომ ილევა?!

ასეა თუ ისე, ისტორიულ თბილისში ჩვენი თანამემამულეების ჩამოსვლას აქაური ქართველები ტრადიციული მრავალხმიანობით შეეგებნენ... ჩვენებურებთან შეხვედრა არ ყოფილა არც ემოციურად შეფარული და არც ყალბად გადმოცემული...

ფესტივალის ფარგლებში ემიგრანტებთან ახლო ურთიერთობა ისტორიის მუზეუმში შედგა... „ქარვასლაში“ ძველი ისტორიული ფოტოარქივია გამოფენილი... ეს არის უნიკალური შავ-თეთრი ფოტოქრონიკა, რომელიც მოგვითხრობს XX საუკუნის დასაწყისის ქართული დიასპორის შესახებ თურქეთში, ჰერეთში და ფერეიდანში... წარმოდგენილი ექსპოზიცია უცნობი ავტორების ფოტონამუშევრებია, რომლებიც ხელნაწერთა ინსტიტუტის არქივში და ექვთიმე თაყაიშვილის ფონდში ინახებოდა... ეს საინტერესო ფოტოკოლექცია ემიგრანტებთან ერთად პირველად ნახა დამთვალიერებელმა.

**– ამ შავ-თეთრ ფოტოებს შორის არის რამდენიმე გამონაკლისი – 4 ფერადი ფოტოა პროკრუტინ კოლსკის, რომელიც მაშინდელ რუსეთის იმპერიაში იყო ერთ-ერთი პირველი ფოტოგრაფი, რომელიც ფერად ფოტოს იღებდა. მას კავკასიაში გადაღებული აქვს ძალიან მნიშვნელოვანი ფოტოები ახლანდელი თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ხუროთმოძღვრული ძეგლების შესახებ. სულ 60-70 ფოტო გამოვფინეთ, თუმცა არქივში კიდევ მრავლად დარჩა... ეს არის 1927 წელს გადაღებული კადრები... როგორც იცით, ფერეიდანთან**



**ჩვენი ურთიერთობა იწყება მე-20 საუკუნის ბოლოსკენ. ჩვენ მე-19 საუკუნის და მე-20 საუკუნის დასაწყისის შესახებ მასალები ფერეიდანზე თითქმის არა გვაქვს, ან თუ მოგვეპოვება ძალიან მწირად. – მესაუბრება ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი ბუბა კუდავა.**

... 9 ქვეყნიდან ჩამოსული ქართველებისთვის ეს ფოტოქრონიკები ისტორიული მახსოვრობის სევდიანი ფურცლებია... ექსპოზიციაზე ჩადრჩამოფარებული ფერეიდნელი ქართველები ნამუშევრებთან დიდხანს ჩერდებიან, მერე კი მორცხვად მეტყვიან:

**– 400 წელი ქართული ენის შენახვა ეს გმირობაა... ჩვენში ბავშვი რომ დაიბადება და ენის შესწავლას დაიწყებს, სწორედ ის არის მისთვის მშობლიური. შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ ფერეიდანში ქართველი ქვას რომ წამოკრავს ფეხს, წამოიძახებს ვაიმეო. ჩვენ ჩვენსავე ფარად შემოვინახეთ ქართული ტრადიცია, თუმცა მუსულმანურ გარემოში ეს ასე ადვილი სულაც არ იყო...**

... ფესტივალზე თაობათა ურთიერთობა ირანიდან, საფრანგეთიდან, კვიპროსიდან, აზერბაიჯანიდან თურქეთიდან, საინგილოდან, კორეადან, ესტონეთიდან და რუსეთიდან ჩამოსულ ემიგრანტებს შორის აისახება... ისინი რუდუნებით მღერიან „სულიკოს“, სამხრეთული ტემპერამენტით ცეკვავენ „განდაგანას“ და არაქართული ინტონაციით საუბრობენ მშობლიურ ენაზე... მაგრამ მაინც...

**– ამ ფესტივალის სიახლე არის ის, რომ მასში არა მხოლოდ ქართველები იღებენ მონაწილეობას, არამედ არაქართველებიც მღერიან საბერძნეთიდან, კორეადან და ესტონეთიდან, – ამბობს ფესტივალის პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი გიული ალასანია, – ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენებურებთან შეხვედრის ტრადიცია დამკვიდრდა. შარშან საქართველო მასპინძლობდა ემიგრანტებს, რომლებმაც ქართული სიმღერის ძალა კიდევ ერთხელ დაგვანახეს და ამით სიამაყის გრძნობა კიდევ ერთხელ განგვაცდევინეს. წელს „ჩვენებურების“ ფესტივალი უკვე მესამედ ტარდება. ამჯერად გეოგრაფიული საზღვრები და ფესტივალის მასშტაბები უფრო გაფართოვდა. თბილისთან ერთად ქალაქი რუსთავიც ჩაერთო ამ კეთილშობილურ მისიაში და ვფიქრობ, მალე მთელ საქართველოსაც მოვიცავთ... განსხვავებული ბედის მიუხედავად, ჩვენებურებს ქართული კულტურისა და დედასამშობლოს სიყვარული აერთიანებთ. ისინი სხვადასხვა ქვეყნებში ღირსეულად ატარებენ ქართულ სახელს და წინაპრებისგან ნაანდერძევ, საუკუნეებში გამოტარებულ, ნალოლიავებ შემოქმედებას დღესაც ხელუხლებლად ინახავენ. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც შეუცნობია მშობელი მიწის უძლეველი ძალა, იგი თავის ყლორტებს დედამიწის ნებისმიერი წერტილიდან იზიდავს.**

... ფესტივალი გრძელდება – ამ ფორმატში დაგეგმილია ფოლკკონცერტები ვაკის პარკში, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტში, ფილარმონიაში და... ფაჰრეთინ ჩილოღლუს წიგნის პრეზენტაცია – „ქარვასლაში“.

**მზექა მახარაძე**

მეუღლე ნიკოლოზ მინდაძე, შვილები ომარი, ციცინო, რძალი გულიკო ჯოხაძე, შვილიშვილები გიორგი, ლაშა, თამარი, კოტე, ნინო, სიძეები ოლეგ კვირიკაშვილი, ირაკლი ოზოლაძე, შალვა გაბისიანი, შვილთაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ 84 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი სამამულო ომის მონაწილე, მრავალი საბრძოლო და შრომითი ორდენის კავალერი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, ცაგერის რაიონის საპატიო მოქალაქე



თამარ რაჟდენის ასული დარსაძე-მინდაძე

პანაშვიდი ყოველდღე, 18 საათიდან, დაკრძალვა 3 ოქტომბერს დღის 3 საათზე. გამოსვენება ქუთაისი, ბაზაძის ქ. №20.



ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნიერო რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა რედაქციის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, წამყვანი სამეცნიერო რედაქტორი

ნორა ხომერიკი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ირაკლი ჟორდანია, დემურ ხარაძე ოჯახებით გამოთქვამენ ღრმა მწუხარებას

გიზო პატეიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები გულიკო, თემურ აბულაძეები, შვილიშვილები ნინო, დათო ვადაჭკორიები, ვალერი, ირაკლი აბულაძეები, გოგა სიდავა ოჯახებით, შვილთაშვილები, ძმისწული კახა ძოწენიძე, დისწული სპარტაკ აბულაძე, რძლები ტაჩუ ლომინაძე, დარეჯან მჟავანაძე, სიძეები ელდარ სიდავა, ამირან მანჯავიძე, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვერა (ვენერა) ძოწენიძე-აბულაძისა

პანაშვიდი 1,2 X 17, სთ. გამოსვენება 3 X, 15 სთ. მისამართი: კუტუზოვის, 13.

◉ ინფორმაცია

## რუსულ-ქართული ჟურნალი „დომინო“ დაიხურა

**როგორც ინტერპრესნიუსს ჟურნალის დამფუძნებელმა და მთავარმა რედაქტორმა ლალი მოროშკინამ განუცხადა, ამის მიზეზი პოლიტიკური ზეწოლა, ცენზურა და დაშინება გახდა.**

**„ზეწოლას ველარ გავუძელი და ჟურნალი დავხურე. უცნობი პირები პერიოდულად მირეკავდნენ სახლში და რედაქციაში და მემუქრებოდნენ. როგორც ჩანს, ქვეყანაში რუსულ-ქართული ურთიერთობების აღდგენა ბუჭდვური მედიის დონეზეც კი მიუღებელია“, – აცხადებს მოროშკინა.**

**მისი თქმით, ჟურნალი, რომლის მთავარი ამოცანა სწორედ ორ ქვეყანას შორის დაძაბული ურთიერთობის განეიტრალება და აღდგენა იყო, ძსელიდან პერიოდულად ქრებოდა და დისტრიბუცია ხელოვნურად ფერხდებოდა. „ერთხელ ჩავატარეთ ექსპერიმენტი და აჭარაში ჟურნალები საკუთარი ძალებით ჩავიტანეთ. მთელი პარტია სწრაფად გაიყიდა“, – აღნიშნა „დომინოს“ დამფუძნებელმა.**

**ყოველთვიური ჟურნალი „დომინო“ 6 თვის წინათ დაფუძნდა.**

**ინტერპრესნიუსი**

## სარწმუნოება

# წმინდა მთავარმოწამე ბიძინა ჩოლოყაშვილი და წმინდა მოწამენი, ქსნის ერისთავნი ელიზბარი და შალვა



**1 ოქტომბერს ქართული სამოციქულო ეკლესია წმინდა მოწამეებს ბიძინა ჩოლოყაშვილს და ქსნის ერისთავებს – ელიზბარსა და შალვას იხსენიებს.**

XVII საუკუნეში საქართველო სპარსელთა სათარეშო ასპარეზად იქცა. სწორედ ამ პერიოდში მოუვლინა უფალმა ქვეყანას მხსნელად და იმედად ქართველი გმირები.

წმინდა ბიძინა ჩოლოყაშვილმა, ბიძა-ძმისწულმა ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავებმა ქუდზე კაცს უხმეს, შეყარეს თუშნი, მთიულნი, მცირედ კახნი... 1659 წლის ალავერდობის დღესასწაულზე სასტიკი დამარცხება აგემეს მტერს ჯერ ბახტრიონთან, შემდეგ კი ალავერდთან...

...გავიდა მცირედი ხანი და შაჰ-აბას II-მ სპარსეთში დაიბარა ბიძინა, შალვა და ელიზბარი. მათ სარწმუნოების გამოცვლა მოსთხოვა, რომელსაც პასუხად უარი მიიღო, მაშინ წმინდანები აწამეს: გააშიშვლეს და გზაზე დაყარეს მწერთაგან დასაგესლად, შემდეგ, ნეტარი ბიძა-ძმისწულის თავის კვეთას დაასწრეს წმინდა ბიძინა. მაგრამ ახოვანმა ქართველმა გაუძლო საკუთარი თავის დამცირებას, თანამებრძოლების წამებით სიკვდილს...

ჯალათებმა გადაწყვიტეს ცოცხლად აეჩეხათ წმინდანი. ის კი ლოცულობდა, ბოლოს ხმლებით აჩეხეს ხელ-ფეხმოკვეთილი სხეული. ასე საზარელი იყო მათი აღსასრული.

ღამით ევროპელმა კათოლიკე ბერებმა ფარულად დამარხეს წმინდა მოწამეთა ცხედრები.

რამდენიმე წლის შემდეგ, წმინდანებად შერაცხული კახეთის მხსნელი გმირები იკორთის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში პატივითა და დიდებით დაკრძალეს.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

## ინფორმაცია

# სტრასბურგის სასამართლოში იჩივლებენ

**თბილისის ჩოგბურთის კორტებთან 2 მაისს ჩატარებული სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი ზურაბ ვაზაგაშვილის ოჯახი საკუთარი უფლებების დაცვას სტრასბურგის სასამართლოში შეეცდება. ზურაბ ვაზაგაშვილის ოჯახის ადვოკატებმა – მალხაზ ჯანგირაშვილმა და ირმა ჭკადუამ გუშინ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.**

ადვოკატები საქართველოს გენერალური პროკურატურის თანამშრომლის ხარებავას სახელზე გენერალურ პროკურატურაში შუამდგომლობას შეიტანენ. ისინი ვაზაგაშვილის მიმართ აღძრული სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ მიღებული დადგენილების გადმოცემას მოითხოვენ.

როგორც ადვოკატები განმარტავენ, თუ გენერალური პროკურატურა ამ შუამდგომლობასაც არ დააკმაყოფილებს, ისინი ჩათვლიან, რომ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე ყველა სამართლებრივი პროცედურა უკვე ამოწურულია და საკუთარი უფლებების დაცვას ევროსასამართლოში შეეცდებიან.

2 მაისს ჩოგბურთის კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე სპეცოპერაცია მსხვერპლით დასრულდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული ღონისძიების დროს – ალექსანდრე (საშა) ხუბულოვი და ზურაბ ვაზაგაშვილი დაიღუპნენ, ხოლო ბუბა ფუთურიძე მძიმედ დაიჭრა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნული ჯგუფის წევრები 2 მაისს ყაჩაღურ თავდასხმას ამზადებდნენ.

**ინტერპრესნიუსი**

## ვერსია

# მონა ლიზამ „იმშობიარა“

**ექსპერტებმა დაამტკიცეს, რომ ლეონარდო და ვინჩის ცნობილ სურათზე გამოსახულია ფლორენციელი ვაჭრის ცოლი.**



ფრანგმა და კანადელმა მეცნიერებმა მოახდინეს უდიდესი მხატვრის ქმნილების ლაზერული სკანირება და ზუსტად განსაზღვრეს, თუ ვინაა აღბეჭდილი სურათზე „მონა ლიზა“.

ბოლო ხუთას წელიწადში კი ვერსია უამრავი იყო. თვით ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი მხატვრის ავტოპორტრეტიდან ქვეყნის დიდგვაროვან ქალბატონამდე... ვიპტური ნაყოფიერების ქალღმერთ ისიდამდე – როგორც ამას სადღეისოდ მოდური მწერალი დენ ბრაუნი ვარაუდობს.

კლასიკური განმარტებით კი სურათზე ნამდვილად გამოსახულია ფლორენციელი ვაჭრის ფრანჩესკო დელ ჯოკონდოს ცოლი – მონა ლიზა, რატომღაც ცოტას თუ სჯეროდა. ამას კი ორი მიზეზი ჰქონდა:

– რატომ არ გადასცა ეს სურათი ლეონარდომ დამკვეთს? სიკვდილამდე რატომ დაჰქონდა ის თან?

მონა ლიზას ვერსია შემოგვთავაზა ჯორჯო ვაზირიმ, შუა საუკუნეების ბევრი მხატვრის ბიოგრაფმა. მაგრამ მისი ნაშრომი და ვინჩის გარდაცვალებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ გამოვიდა. თანაც მის ნაშრომში უამრავი უზუსტობა და უხეში შეცდომა აღმოაჩინეს. ამიტომაც ისტორიკოსები მას სკეპტიკურად უცქერდნენ.

ახლა სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ ქალბატონს სურათზე ჩამოფარებული ჰქონდა ნახევრად გამჭვირვალე ვუალი. ასეთს შუა საუკუნეების იტალიაში ატარებდნენ ქალები, განსაკუთრებით მშობიარობის შემდეგ. თანდათან სალებავები გამუქდა და ვუალი „გაქრა“, სანამ მეცნიერებმა ის თავის ადგილზე „არ დააბრუნეს“.

ამრიგად, ნახატზე გამოსახულია ან ფეხმძიმე, ან ახლად მომშობიარებული ქალი. როგორც ცნობილია, ფლორენციელი ვაჭრის ცოლმა მონა ლიზამ 1503 წელს შობა თავისი მეორე ბავშვი.

ეს ემთხვევა სურათის დახატვის სავარაუდო თარიღს.

რაც შეეხება ვუალს, მხატვარი ხშირად ხატავდა ქალის ჩაცმულობის ამ ნაწილს. მაგალითად, ჯინევრა და ბენჩის პორტრეტი. როგორც ჩანს, ყველა ეჭვი მონა ლიზას თაობაზე უნდა გაქარწყლდეს, მაგრამ მაინც გაუგებარია, მხატვარს რატომ დაჰქონდა ეს სურათი მუდამ თან?

**КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА**

## ანეკდოტები



ორი ტიპი საუბრობს.

– ხვალ შევხვდეთ?

– ჰო.

– სად?

– სადაც გინდა.

– რომელ საათზე?

– რომელზეც გინდა.

– კარგი. მაგრამ ძალიან გთხოვ, არ დააგვიანო.

* * *

– რა ჰქვია სასაფლაოზე იმ ადგილს, სადაც დარაჯი ზის?

– ცოცხალი კუთხე.

* * *

– ძვირფასო, მოგწონს ჩემი თმები? – ეხვევა საუზმეზე ცოლი ქმარს.

– ჰო, მომწონს, განსაკუთრებით დღევანდელ წვნიანში!

* * *

მათ რომ უკეთ იცხოვრონ, ჩვენ უკეთ უნდა ვიმუშაოთ.

* * *

– წონაში დაკლება გადავწყვიტე.

– დიდი ხანია?

– საათზე მეტია.

– გეტყობა კიდეც.

– მართლა?

– ჰო, ძალიან მშიერი გამომეტყველება გაქვს.


**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-96-32; 899 328576


## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: წლების განმავლობაში პროკურატურაში ვმუშაობ. ვფიქრობ, მეკუთვნის კომპენსაცია, მაგრამ არ ვიცი, საიდან დავიწყო**



**მასზე ზრუნვა და კონკრეტულად, რომელი დაწესებულებიდან დამენიშნება პენსია.**

**გთხოვთ დახმარებას.**

**ნ. მაკალათია**

**პასუხი:** პროკურატურის მუშაკმა კომპენსაციის დანიშვნის შესაძლებლობის საკითხზე უნდა მიმართოს გენერალურ პროკურატურას, რომელიც მოუმზადებს შესაბამის საბუთებს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის ცენტრალურ ოფისში (თბილისი, წერეთლის გამზირი №144ძ წარსადგენად. სწორედ მის კომპეტენციაში შედის ზემოაღნიშნული კომპენსაციის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტა.

**კითხვა: ვარ ასაკით პენსიონერი. ვმუშაობ, რის გამოც პენსიის გაცემა შეწყვეტილი მაქვს.**

**როგორც თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული კონსულტაციებიდან შევიტყვე, ამჟამად მოქმედი კანონით მუშაობის პერიოდში პენსია გაიცემა, გარდა საჯარო დაწესებულებაში მუშაობისა.**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, რომელი დაწესებულებები ითვლება საჯარო სამსახურად.**

**ნაილი სვანიძე**

**პასუხი:** „სახელმწიფო პენსიების კანონის“ მე-4 მუხლში მოცემულია ტერმინთა განმარტება, რომლის შესაბამისადაც საჯარო საქმიანობა არის ადმინისტრაციულ ორგანოში ან სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში განხორციელებული ანაზღაურებადი საქმიანობა, გარდა სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობისა.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-96-33.**

## კადრი




## დარია თუ ავდარია

# ამინდი 30 სექტემბერს

**დასავლეთ საქართველოში –** მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+28^0$ – $+19^0$, ღამით $+15^0$ – $+20^0$.

**აღმოსავლეთ საქართველოში** – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით $+19^0$ – $+25^0$, ღამით $+17^0$ – $+22^0$.



**თბილისში –** მცირე მოღრუბლულობა. ჰაერის ტემპერატურა: ღამით $+14^0$, დღისით $+23^0$.

**ბათუმი** – ღ. $+17^0$, დ. $+23^0$; **სოხუმი** – ღ. $+16^0$, დ. $+23^0$; **ქუთაისი** – ღ. $+16^0$, დ. $+25^0$, **ოზურგეთი** – ღ. $+18^0$, დ. $+22^0$, **ზესტაფონი** – ღ. $+19^0$, დ. $+25^0$; **რუსთავი** – ღ. $+15^0$, დ. $+23^0$, **ფოთი** – ღ. $+17^0$, დ. $+26^0$; **მესტია** – ღ. $+10^0$, დ. $+18^0$; **სტეფანწმინდა** – ღ. $+15^0$, დ. $+18^0$; **თელავი** – ღ. $+13^0$, დ. $+21^0$; **გორი** – ღ. $+15^0$, დ. $+24^0$; **ახალციხე** – ღ. $+13^0$ დ. $+24^0$; **ბორჯომი** – ღ. $+13^0$, დ. $+22^0$; **ცხინვალი** – ღ. $+13^0$, დ. $+22^0$; **სამტრედია** – ღ. $+17^0$, დ. $+25^0$; **ზუგდიდი** – ღ. $+17^0$, დ. $+22^0$; **ჭიათურა –** ღ. $+13^0$, დ. $+21^0$.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ბონდო გულიაშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.